- იქნებ იმიტომ არ გიბარებთ პროკურატურა, რომ არ აცხადობს თქვენი დაკითხვის აუცილებლობა, არ მოიპოვება საქმეში მასალები, რომელიც თქვენთანაა დაკავშირე-ბული?

- პროკურატურა შეგნებულად არ მკითხავს. ატყუებენ პრეზიდენტს, რომ, ვითომდა, მის წინააღმდეგ ტე-რაქტი უნდა გახორციელებულიყო და ა.შ.

არაეინ არ მიბარებს იმიტომ, რომ არ უნდათ, სიმართლე დადგინდეს. ამას აკეთებენ იმიტომ, რომ მეორედ არავინ დაეხმაროს პარტიზანულ მოძრაობას. აბა, როგორ არა აქვთ მასალები, ვიძახი, რომ ჩემია იარა-ღი. ვაღიარებ, რომ მე ვიყიდე და ეს არ არის საკმარისი დასაკითხად? იქ-ნებ, რას ვუვხებნი, არ აინტერე-სებთ?

- ითქვა, რომ შაქო კალაშოვის მითითებით აიღეთ თქვენი თავი დაწაშული, რათა მისი სახელი ამოვარდნილიყო საქმიდან.

- ჯერ ერთი, პარტიზანებისთვის იარაღის შეძენა დანაშაული არ არის. მეორეც, კალაშოვთან არანაირი კავ-შირი არ მაქვს. კალაშოვის ბედი, სა-ერთოდ არც მანუხებს, არ მაინტე-რესებს. მჭედლიძის ოჯახს რა ვუთხ-რა, ამაზე ვნებრივლობი. იარაღი ჩემი იყო და ის ჩემი გულისთვის დაიჭი-რეს.

ვინც შეიძინა იარაღი, გაირკვევა, როცა დამკითხვენ. ყველაფერს მო-ვუყვები პროკურატურას. გენერა-ლური პროკურორისთვის უცხო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ პარტიზა-ნული მოძრაობისთვის სპეცტენი-კის შექმნას აფინანსებენ საქართვე-ლოსა და რუსეთში მოქმედ ბიზნეს-მენთა ჯგუფები. ისინი არ ერევიან სპეცტენიკის შესყიდვისა და ტრან-სპორტირების საქმეში, არ იცნობენ ამ მექანიზმს. მათი გვარების დასა-ხელნებაც შემძლია, ოღონდ მათი თანხმობის შემდეგ, მხოლოდ კონფი-დენციალურ ვითარებაში. ამიტომაც დამბარბოს პროკურატურამ და მო-ვუყვები ყველაფერს.

- მართალია, უარყოფთ კალა-შოვთან კავშირს, მაგრამ იქნებ მითხრათ, მაშინ რატომ დაკავშირ-და შაქო კალაშოვის სახელი იარაღთან?

- არ ვიცი ალბათ ვიღაც იყო და-ინტერესებული და იმიტომ. გითხა-რით, კალაშოვს არანაირი შეხება არ ჰქონია ამ იარაღთან. ეს საქმე ხან კობა ნარჩქაშვილის, ხან ხაბურუ-ნისა, ხან ჯიქიას ჩასაძირად გამოი-ყენეს. ვინ გადააყოლონ ამ ამბავს, არ იცინა.

თბილისის ქუჩაზოი ძალადობა მიფობს

სოფიკო ახიძიძე

თბილისის ქუჩები არც ისე უსაფ-რთხო ყოფილა, როგორც დედაქა-ლექული წესრიგის დამცველები ცდილობენ, დაგვარწმუნონ. ის, რომ ათი წლის დახმარებისგან განსხვა-ევებით, დღეს მხარზე ავტომატგადა-კიდებული ხალხი არ დადის

სულაც არ ნიშნავს, რომ ქალაქში დანაშაულის რაოდენობამ ბევრით იკლო. შესაბამისად, ძალიან ცდგბა ის, ვინც ფიქრობს, რომ თბილისში ლაშით სიარული ძველბურად საშო-ში აღარ არის. პრიქითაც შეიძლება ითქვას -- ძალადობა ქალაქური ცხოვრების რიტმის ერთ ჩვეულებ-რივ დამახასიათებელ ნაწილად ქცე-ულია და მასთან ბრძოლა ეფექტურო-ბისგან ძალზე შორს დგას.

წლიდან წლამდე ქუჩებსა თუ სა-დარბაზოებში მომხდარ დანაშაულ-თა რიცხვი მატულობს და პოლიცია ამ პრობლემის წინაშე თითქმის უძე-ლურია. ეს შეფასება პრესის მხრი-დან პოლიციელთა სახელისთვის ჩრდილის მიყენების კიდევ ერთ მცდელობად რომ არ ჩაითვალოს, დასტურად პროკურატურის ორგა-ნოების, კერძოდ, თბილისის პროკუ-რატურის მიერ გაკეთებულ ანაღლებს შემოვთავაზებთ.

პერიოდ, რომლის შესწავლასაც ხელი მოჰქიდა ქალაქის პროკურა-ტურამ, 2001 წელსა და 2002 წლის პირველ კვარტალს მოიცავს. ამ თხუთმეტი თვის მანძილზე თბილის-ში 204 ყაჩაღობისა და 177 ძარცვის ფაქტია დაფიქსირებული. ამათგან სასამართლოში გადაგზავნილია 181 საქმე, განსასჯელთა რაოდენობა 233-ს აღწევს. ყაჩაღობისა და ძარც-ვის განხრით მომხდარ დანაშაულთა-გან 121 გაუხსნელია და ამის გამო მეშვდარია ძიება.

დანაშაულთა შესწავლის შედე-გად, პროკურატურა მიივდა დასკე-ნანდვ, რომ ქალაქში უმეტესწილად ისევ თბილისელები ყაჩაღობენ, თუმცა, რეგიონებიდან ჩამოსული დანაშაულთა წილი მინიმალურხნად არ ჩამოუვარდება ქალაქელისას. ის ფაქტი კი, რომ აღრიცხულ დანა-შაულთა აბსოლუტური უმრავლესო-

ბა დროებით უმუშევართა მიერაა ჩა-დენილი, სამართალდამცველ ორგა-ნოებს დანაშაულის ჩადენისა და მი-სი რაოდენობირივი ზრდის სოცია-ლურ-ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირების საფუძველს აძლევს. გასაკვირია ის, რომ დანაშაულთა შორის არც ისე დიდია ადრე ნასა-მართლეუთა რაოდენობა, რაც, პრინ-ციპში, ძალზე შემამფოთებელია, რადგან მეტყველებს იმაზე, რომ კრიმინალური სამყარო ახალ-ახალ შეგებსაც იღებს. ალბათ, არავის გა-უუკვირდება პროკურატურის მიერ სტატისტიკური მონაცემების დამუ-შავების გამოტანილი დასკვნა, კერ-ძოდ ის, რომ ქალაქში განსაკუთრე-ბით საშიში ლაშით სიარულებია. თბი-ლისის უმეტეს რაიონებში ყაჩაღობა და ძარცვა სწორედ საღამოს და ღა-მით ხდება. გამოჩალიკისა მხოლოდ დიდუბე-ჩუღურეთისა და მთაწმინ-და-კარნანის რაიონები, სადაც და-ნაშაულთა დიდი ნაწილი დღისითაც დაფიქსირებული. სხვათა შორის, დანაშაულების თვალსაზრისით ყვე-ლაზე რთულ რაიონად ვაკე-საბურ-თალოა მიჩნეული.

ვაკე-საბურთალო

საანგარიშო პერიოდის მანძილზე სამართალდამცველებს 122, ანუ ქა-ლაქში მომხდარი ძარცვა-ყაჩაღობის მესამედი სწორედ ვაკე-საბურთა-ლოს რაიონში აღურიცხავთ. დანაშა-ულის თავიდან აცილების ვერშეძე-ლე ვაკელი პოლიციელები ვერც უკე-ზე მომხდარის გამოძიების უნარით დაიკუვნნია. ყაჩაღობისა და ძარც-ვის შემთხვევების დიდი რაოდენობი-დან გახსნილია მხოლოდ 25. აღსა-ნიშნავია ისიც, რომ ვაკეში და სა-ბურთალოელი კრიმინალები, სხვა რაიონებში მოქმედი "კოლეგების-გან" განსხვავებით, შეიარაღებულ-ივც კარგად არიან -- ყაჩაღების უმე-ტესობა მოქალაქეების დასამნიებ-ლად ცეცხლსასროლ იარაღს იყე-ნებს. თითქმის თანაბარია ამ რაიონ-ში ქუჩასა და ბინეში შესვლით გა-ხორციელებულ ყაჩაღობათა რიცხ-ვიც. რაც შეეხებათ მძარცველებს, ისინი მოტყუანობისთვის უმეტესნი-ლად ქუჩას ირჩევენ.

დიდუბე-ჩუღურეთი

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში ყაჩაღობისა და ძარცვის უმეტესო-ბის დღის საათებში მოხდება ამ რაი-ონში დაზორბების დიდი რაოდენო-ბით უნდა იყოს განპირობებული. მით უმეტეს, სწორედ ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ყველა გაძარცული მოქალაქე ქუჩაში დაზარალდა. სულ კი აქ ძარცვის 32 შემთხვევა აქვს შს ორგანოებს დაფიქსირებუ-ლი, ამათგან გაუხსნელია მხოლოდ ექვსი. დიდუბე-ჩუღურეთში ყაჩაღო-ბებთან დაკავშირებით სხვაგვარა-დაა საქმე. 31 ყაჩაღობიდან გახსნი-ლი, გამოძიებული და სასამართლო-ში გადაგზავნილია საქმეთა ნახევარ-ი.

მთმმინდა-კრწანისი

თუ სამართალდამცველ ორგანო-ებში დანაშაულის აღრიცხვიანობის სიზუსტეს ვნებდით, ერთი მუხედ-ვით, ძალზე რთულ რაიონში ყაჩაღო-ბისა და ძარცვის მინიმალური რაო-დენობის შემთხვევებია დაფიქსირე-ბული. 15 თვის მანძილზე ყაჩაღობის სულ 22 და ძარცვის 39 ფაქტი იმხე-ლა რაიონისთვის, რამხელაც მთაწ-მინდა-კრწანისის, დამნაშაუობას-თან ბრძოლაში დიდ მიღწევად შეიძ-ლება ჩაითვალოს, ოღონდ იმ შემთხ-ვევაში, თუ არ გავითვალისწინებთ პროკურატურისგან შენიშვნას, რომ ხშირია შს ორგანოების მხრიდან და-ნაშაულის აღურიცხაობა.

ისე კი, ძირითადად დღისით-მზი-სით მომხდარ ყაჩაღობა-ძარცვებთან სასამართლოში გადაიგზავნა 31 საქ-მე. გახსნილია, მაგრამ დანაშაულის ჩადენისათვის ბოროტმოქმედებს ეძებნ 4 საქ-მეზე.

გლდანი-ნაძალადევი

გლდანი-ნაძალადევის რაიონის ურთულეს უბნად მეტროსადგურ "ახმეტელის" მიმდებარე ტერიტო-რია ითვლება. ძარცვის ფაქტები უმეტესობა აქ და ქუჩებსა და ეზოებ-ში ხდება და, ძირითადად, ხელჩან-

თის გამოგლეჯითა და სამკაულის მოხსნით შემოივარჯლება. ასეთი შემთხვევები აქ 34-ია დაფიქსირებუ-ლი და თითქმის ყველა -- საღამოს 6 საათის შემდეგ. აღსანიშნავია ისიც, რომ გლდნელი წერილი მოძალადე-ები იარაღს თითქმის არ ხმარობენ. ძარცვის გამო აძრძულ სისხლის სა-მართლის საქმეთა უმეტესობა -- 25 -- სასამართლოშიც არის გადაგზავ-ნილი. ყაჩაღობის გამო აღძრულ სის-ხლის სამართლის 20 საქმიდან სასა-მართლოში სულ რვაა გადაგზავნი-ლი, 12 საქმე კი გაუხსნელობის მო-ტივით შეჩერდა.

ისანი-სამგორი

ისანი-სამგორის რაიონში, თურ-მე, ძირითადად სხვადასხვა რეგიო-რისადა ჩამოსულები ყაჩაღობენ, რასაც ძარცვაზე ვერ ვიტყვით -- მძარცველთა უდიდესი ნაწილი თბი-ლისის მევიდრია. 2001 წლიდან ჩადე-ნილი ყაჩაღობების რიცხვით ეს რაი-ონი ვაკე-საბურთალოს სულ ცოტათ-ი ჩამორჩება. საანგარიშო პერიოდ-ში აქ ყაჩაღობის 47 ფაქტი აღუ-რჩავათ. აქედან გახსნილი და სასა-მართლოში გადაგზავნილი - სულ 15-ია. ამ რაიონში მოქმედ ყაჩაღთა შეი-არაღება შემამფოთებელია. 47 შემ-თხვევიდან 30 ცეცხლსასროლი იარაღით გახორციელდა, უმეტესო-ბა - ღამით.

უქეთესი მდგომარეობა ძარც-ვის თვალსაზრისით. 19 დაფიქსირე-ბული ფაქტიდან 14 გაიხსნა.

ქალაქის პროკურატურას მსგავ-სი სტატისტიკა შემოთთების სა-ფუძველს აძლევს. კერძოდ, პროკუ-რატურის ორგანოები შს ოპერატი-ული სამსახურების არადამაკმაყო-ფილებელ მუშაობას და გამოძიე-ბისადმი ზერელე მიდგომას უჩივი-ან. რამდენიმე დღის წინ მომზადე-ბულ ანალიტიკურ დასკვნაში აღი-ნიშნება, რომ მოცემული კატეგო-რიის საქმეთა გამოძიების პროცეს-ში ტიპიური დარღვევები შეინიშნე-ბა. ტიპური დარღვევებად კი მიჩნე-ულია სამართალდამცველთა მხრი-დან დანაშაულის მიჩქმალვა, დაზა-რალეპულთა განცხადებების დაე-

სასამართლო დარბაზი ბავშვებით ვაჭრობაში ბრალდებული სამართლებრივ სემინარს ატარებს

ხათუნა ჯანაირაშვილი

თბილისის პროკურატურის მიერ არასრულწლოვანი ბავშვებით ვაჭ-რობაში ბრალდებული და შემდეგ მთანმინდა-კრწანისის სასამართ-ლოს მიერ გასამართლებული კანა-დის მოქალაქე ოლგა გორელიკი ახ-ლე საოლქო სასამართლოს მოსამარ-თლეებს უყენებს კატეგორიულ პრე-ტენზიებს.

ოლგა გორელიკი მთანმინდა-



გორელიკის მიერ გამოძიებლის დაკითხვის პროცესი

იკორ ლოზოდინს ფოტო

კრწანისის სასამართლოს განაჩენს, რომლითაც მას 6 წლით პატიმრობა მიესაჯა, აპროტესტებს და სააპელა-ციო საჩივრით დაუყოვნებლივ გათა-ვისუფლებას ითხოვს.

გუმინდელ ხმაურიან პროცეს-ზე პატიმარმა გორელიკმა გამოძ-იებლის მძიმე მისია იკისრა და მოწმედ მონვენულ საკუთარი საქ-მის გამოძიებელს მერაბ გოგლი-ძეს 4-საათიანი საგამოძიებო მოქ-მედება -- დაკითხვა მოუნყო. თბი-ლისის პროკურატურის საგამოძიე-ბო ნაწილის სტაჟიან გამოძიე-ბელს გორელიკმა პროფესიონა-ლზში და, შესაბამისად, მის საქმე-ზე დანერგული საბრალდებო დასკე-ნა დაუწუნა.

გორელიკის მიერ გამოძიებლის-თვის დასმული შეკითხვების უმეტე-სობა, საქმესთან კავშირის უქონლო-ბის გამო, სასამართლო კოლეგიაშ მოხსნა. პატიმარმა განსასჯელმა ერთი და იმავე შინაარსის შეკითხვე-ბი ათასნაირ კონტექსტში "დაატრი-ალა". ყველა შემთხვევაში გამოძი-ებლის დასაუბი ერთი იყო: შენ მე ნუ მასწავლი, ძიებამ ასე ჩათვალა საქი-რად, ტვინი ნუ წაიღე. შენ კიდევ დიდგულზე ხარ?

ოლგა გორელიკი მთელი მონღო-მებით ეცვდა გამოძიებლისთვის სა-კანონმდებლო სემინარი ჩაეტარები-ნა. სისხლის სამართლის სამოცესლო და სისხლის სამართლის კოდექსე-

გამომძიებელზე ხომ არ არის შეყვა-რებულიო. მით უმეტეს, რომ გორე-ლიკმა სასამართლო პროცესზე გა-ნაცხადა, გოგლიძისადმი არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია, მას ჩემზე ზნეოლა არ განუხორციელებიაო.

ერთი სიტყვით, ოლგა გორელიკ-მა, მიუხედავად მცდელობისა, სასა-მართლო კოლეგიაზე ვერც დადები-თი შთაბეჭდილება მოახდინა და ვერც თავისი უდანაშაულობის დამ-ტკიცება შეძლო.

ოლგა გორელიკი არც "24 საა-თის" ფოტოკორესპონდენტს დარჩა ვალში და მოსამართლედაც მოგვევ-ლინა. ფოტოკამერის დანახვისთანა-ვზე მან დიდი სკანდალი მოაწყო. დარ-ბაზში მყოფმა მისმა ახლობლებმა კი გორელიკის ბრძანება დაუყოვნებ-ლივ შეასრულეს და ფოტოკორეს-პონდენტი ფოტოაპარატის დამტე-რევის მუქარით დარბაზიდან გააძე-ვეს, რასაც სასამართლო კოლეგია განრისხება მოჰყვა. მათ ისტერიაში მყოფ განსასჯელს, რომელიც რამ-დენიმე წუთის წინ საამართლო სემინარს ატარებდა, განუმარტეს, რომ გადადგომის უფლება გვექონდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ბავშვე-ბით ვაჭრობაში ბრალდებულის გა-დადების საშუალება მაინც არ მოგ-ვეცა.

ოლგა გორელიკის სასამართლო პროცესი გრძელდება და ის ამ კვი-რას განახლდება.

ზეზუაზიზი მიფობს

ვიანებით რეგისტრირება, მოკვლე-ვის გაჭიანურება და საგამოძიებო მოქმედებების არასრულად ჩატა-რება, მოკლედ, ის ყველაფერი, რაც საბოლოოდ კორუფციის წყარო ხდება.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამ კვირის პოლისო გენერალურმა პროკურატურამ კოლეგიის სპეცია-ლური სხდომა უნდა მიუძღვნას თბი-ლისის პროკურატურის მიერ მოაო-ვეებული სტატისტიკური მონაცემე-ბისა და დასკვნების გაანალიზებას. აქვე, ალბათ, კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც დაის-მება. მანამდე კი გთავაზობთ იმ კონკრეტულ დარღვევებს, რომლე-ვიც პროკურატურამ ამა თუ იმ და-ნაშაულის გამოძიების პროცესში აღმოაჩინა.

პროკურატურა პოლიციას უჩივის

ერთი წლის წინ, პარფოუმერიის მალაზია "ისი-პარიზე" ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე აღძრული სისხ-ლის სამართლის საქმე ვაკე-საბურ-თალოს საგამოძიებო სამსახურმა გაუხსნელად დახურა. არადა, რო-გორც მოგვიანებით გაირკვა, უამრავ-ი საგამოძიებო მოქმედების ჩაუტა-რებლად დახურულ საქმეზე ტყეშა-რტების დადგენა ნამდვილად შეიძ-ლებოდა.

სამთვიანი საგამოძიებო ვადის გასვლასთან დაკავშირებით, გაუხს-ნელობის მოტივით შეჩერებულმა გამოძიებამ არ დაადგინა ისეთი ელემენტარული დეტალები, რომლე-ვიც, წესით, აუცილებლად უნდა გა-ერკვია.

მაღაზიაზე თავდასხმისას გატა-ცებული საქონელი ძალაზიის დირექ-ტორმა რამდენიმე თვეში დიღუბის გამოძიებას განუცხადა, რომ ეს ნივ-თები მას გასაციდად ნაცნობმა გიამ, ვინმე გიორგი დანელიას სახლში გა-დასცა. გიორგი დანელიას პიროვნე-ბის შესწავლისას კი დადგინდა, რომ იგი ადრე გასამართლებული ყოფი-ლა ადამიანის გატაცებისა და იარა-

ღის უკანონოდ ტარების ბრალდე-ბით. მისი ალბიმი გამოძიებამ ბრბად გაიზიარა და დანაშაულის შესწავ-ლებით თავი არ შეინჯა. გამოძიება არ დანიტერესებულა არც შუამავ-ლისა დასა პიროვნებით და არც იმ ორი ადამიანით, რომლებიც ნაძარცვი სუზნარისთვის გადაცემისას

მოქალაქეთა ნახშირი მოქალაქეთა კავშირად გაღვივება სძლიოვს

“დაპირისპირებიდან თანამშრომლობისკენ” - პარტიის მთავარი ლოზუნგი

პირველი გავრძიდვა

პირველ რიგში, ალბათ, იმიტომ, რომ წლების განმავლობაში პრეზიდენტი ერთდროულად აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურიც იყო და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერიც, რაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპს უხემად არღვევდა. უმრავლესობა ნებისმიერ შემთხვევაში მხარს უჭერდა ედუარდ შევარდნაძეს, როგორც თავის პარტიულ ლიდერს და, იმაედროულად, მხარს უჭერდა მას, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს. როგორია უნდა ეკონტროლებინა პარლამენტს აღმასრულებელი ხელისუფლება, თუკი მუდმივად უხდებოდა ანგარიშის განევა თავისი პარტიული ლიდერთვის, ანუ აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურისთვის?

ბუნებრივია, პარლამენტი - რომლის უმრავლესობას 1995 წლიდან მოქალაქეთა კავშირი შეადგენდა - ედუარდ შევარდნაძის ნებართვის გარეშე ევრასოდეს დაუპირისპირდებოდა აღმასრულებელ ხელისუფლებას და, მათ შორის, პრეზიდენტის კალთას შევარებულ მთავრობას. ფორმალურად, პარლამენტს შეეძლო მინისტრის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის გამოყენება და გასულ წლებში ეს მექანიზმი რამდენჯერმე კიდევ ამოქმედდა. მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც პრეზიდენტი ამა თუ იმ მინისტრს განირავდა და საპარლამენტო უმრავლესობას “გადაბარებდა” სახლში გასასტუმრებლად. სხვა შემთხვევაში კი, პრეზიდენტი ადვილად აგვარებდა მინისტრების ურთიერთობას პარლამენტთან. მაგალითად ისიც კმარა, რომ 2000 წლის გაზაფხულზე უმრავლესობამ, თავის დასურულ სხდომაზე, მჭუხარე ტაშით დაუდასტურა მხარდაჭერა შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატს კახა თარგამაძეს. უკვე მაშინ ზურაბ ჟვანიათვის (და მისი გუნდისთვის) პოლიციის მინისტრი ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური მეტოქე იყო; მაგრამ პარლამენტს ისლა დარჩენილად, თან დამეტკიცებინა პრეზიდენტისთვის სასურველი მთავრობა, თან გამოეჯვრდა ამავე მთავრობას, რომელიც პარლამენტის პოლიტიკის გატარებაზე სულაც არ ფიქრობდა.

საიდუმლო წამედგოდა არ არის, რომ მინისტრებს არასოდეს ალევლებდათ საპარლამენტო უმრავლესობა და მისი პოლიტიკა. თითოეული მინისტრის პრობლემები და ამ პრობლემების გადაჭრის გზები ყოველთვის გადიოდა ერთ ადამიანზე - ედუარდ შევარდნაძეზე. ისინი პასუხს აგებდნენ არა პარლამენტის, არამედ - პირდაედ ედუარდ შევარდნაძის წინაშე.

სამაგიეროდ, ორ “ტახტზე” ჯდომა - აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურობა და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერობა - უსაზღვრად აძლიერებდა პრეზიდენტს. ყველა ბერძენი თავს უშუალოდ მის ხელში იყრიდა და ისიც, თავისი შეხედულების მიხედვით, პოლიტიკურ ფიგურებსა და ჯგუფებს ხან აძლიერებდა, ხან ასუსტებდა, სხვა სიტყვით - აბალანსებდა.

■ ■ ■ შესაძლოა, დაბალანსების პოლიტიკა სტაბილურობის საფუძვლად და შევარდნაძის დამსახურებად შეფასებულიყო, რომ არა ერთი დამანგრეველი ფაქტორი: რაკი პრეზიდენტი არავის ენდობოდა და ერთპიროვნულად მართავდა პროცესებს, მას სჭირდებოდა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალ პოსტებზე დანიშნულიყვნენ ადამიანები, რომლებიც არა მხოლოდ კონსტიტუციურად, არამედ - პიროვნულადაც ედუარდ შევარდნაძეზე იქნებოდნენ დამოკიდებულნი. პოტენციურად მემამოხე მინისტრები, გენერალური პარკურები, კონტროლის პალატისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეები, სახალხო დამცველებიც კი - პრეზიდენტს არ სჭირდებოდა. ამიტომ, გაჩნდა აზრი (ჩაეთვალილო, რომ ეს არის ვერსია), რომელიც



მოქალაქეთა კავშირის ყრილობა

უშუალოდ უკავშირდება და ხსნის ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ტექნოლოგიას: ქვეყანაში წლების განმავლობაში ხდებოდა არა კორუფციასთან ბრძოლა, არამედ - პირიქით - კორუფციის ნახალისება. მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც კორუფციული პირამიდების წევრს წარმოადგენდნენ, თავისივე კორუფციული ცხოვრების წესის გამო, ედუარდ შევარდნაძის “კრძი” ხდებოდნენ: ურჩობის შემთხვევაში, მათ ემუქრებოდათ არა მხოლოდ თანამდებობის დატოვება, არამედ - კანონიერი სასჯელი; მორჩილების შემთხვევაში კი - ძალაუფლება და კეთილდღეობა. ამ ევრსიის თანახმად, ედუარდ შევარდნაძე კორუფციის მივეალი არასოდეს ყოფილა, პირიქით, იგი თავად მართავდა და ახალისებდა კორუფციას, რისი მეშვეობითაც იოლად წარმართავდა პროცესებს და ინარჩუნებდა ძალაუფლებას.

ნებისმიერ შემთხვევაში - ამ გზით თუ სხვაგვარად - პრეზიდენტი წლების განმავლობაში სრულად აკონტროლებდა სახელისუფლო სივრცეს - პარლამენტსა და მთავრობას, ქვეყანა კი მეტად და მეტად უძლიერდებოდა. პოლიტიკური კონფლიქტი სწორედ სტაგნაციის წიადამგზე წარმოიშვა, ხოლო გაღვივდა მაშინ, როდესაც მთავრობაში პარლამენტიდან ურჩმა (ესე იგი, არაკორუმპირებულმა) მინისტრებმა შეაღწიეს. მთავრობის სხდომებზე საჯაროდ გაცხადდა ის რეალობა, რომელიც მანამდე სახელმწიფო კანცელარიის დახშულ კაბინეტებიდან ჟონჯიდა: ხელისუფლების ერთი ნაწილისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო გარდაქმნები, ხელისუფლების მეორე ნაწილისთვის კი სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო კორუფციული პირამიდების, ესე იგი, არსებულის შენარჩუნება. ორივე მხარეს პრეზიდენტის იმედი ჰქონდა, ორივე მხარე პრეზიდენტს გადმოიბრებდა ცდილობდა და ორივე მხარე პრეზიდენტს აქტიური ქმედბისკენ მოუწოდებდა. ედუარდ შევარდნაძე კი მთელი ძალისხმევით ცდილობდა, შეენარჩუნებინა ბალანსი და არ მიეღო რაიმე გადაწყვეტილება. ეს მდგომარეობა უკვე თავის თავში მოიცავდა სტაბილურობის კრახს: გარდაქმნის მომხრეები და მოწინააღმდეგეები ერთ სახელისუფლო სივრცეში დიდხანს ვერ გაძლებდნენ, რადგან თითოე-

ული მათგანის არსებობის პირობა მეორის გაანადგურება იყო. სტაბილურობა მართლაც დაირღვა და, ცხადია, “ურჩების” საზიანოდ. პროცესი სწრაფად განვითარდა: მინისტრის პოსტებიდან გადადგნენ მიხეილ მაჭავარიანი და მიხეილ სააკაშვილი; ზურაბ ჟვანიაშ ღია წერილით მიმართა პრეზიდენტს, რაც საჯარო პრეტესტის მძაფრ ფორმად შეუასდა; საპასუხოდ, პრეზიდენტმა დატოვა მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის პოსტი, რაც თავისთავად გულისხმობდა საპარლამენტო უმრავლესობის დაშლას და ჟვანიას გადადგომას. ასეც მიხდა. ამ პროცესის შედეგად, პრეზიდენად დატოვებული გუნდი ოპოზიციამ აღმოჩნდა, მოქალაქეთა კავშირი კი მოქალაქეთა ნახშირად იქცა.

მიხეილ სააკაშვილი, რომლის საჯარო გამოსვლები ყოველთვის მწვავედ კრიტიკული იყო, ოპოზიციის სათაშაშო მოედანზე არ დაბნეულა და ენერგოული ნაციონალური მოძრაობა შექმნა. ზურაბ ჟვანიამ, ერთგვარი ყოყმანის შემდეგ, ახალი პარტია - გაერთიანებული დემოკრატები - დააარსა. ედუარდ შევარდნაძე კი პარტიული საყრდენის გარეშე დარჩა. თუმცა, მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების წინ პრეზიდენტმაც მიიღო გმირული გადაწყვეტილება - აალირძინოს მოქალაქეთა კავშირი.

ისტორიის ექსპერტები ამტკიცებენ, რომ გარდაბავალ ქვეყნებში პოლიტიკური საყრდენის გამოცვლა პრეზიდენტისთვის ყოველთვის კრახით მთავრდება. გამომის, ისტორიაც მოქკავშირის მხარესაა... და მაინც,რისთვის სჭირდება ედუარდ შევარდნაძეს მოქალაქეთა კავშირი?

ამ კითხვის პასუხად, სულ მცირე, ორი ფესიებას ის, რომ მათ ძალიან უყვარდათ სტაბილურობა.

პირველი ვერსია: პარტიის ასალორძინებლად საგანგებოდ მოწვეულ ყრილობაზე პრეზიდენტმა ორჯერ გაიმეორა, რომ მოქალაქეთა კავშირი მოიკლებს მომავალ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს.

ეს ვერსია არადამაჯერებლად გაჰმოუყვარა. და, ამ, რატომ: ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საკმაოდ მოულოდნელი გადაწყვეტილება, რომ ის ბერკეტები, რომლებიც არა და არ და-

უთმო ზურაბ ჟვანიას, ახლა ერთბაშად გადააბაროს ავთანდილ ჯორბენაძეს. შესაბამისად, ავთანდილ ჯორბენაძე იქნება სახელმწიფო მინისტრიც - თავისი მოქალაქიური სამთავრობო გუნდით - და, იმაედროულად, სახელი-სუფლო პარტიის თავმჯდომარეც. რატომ დაუთმეს სახელმწიფო მინისტრის პოსტზე შემთხვევით მოხვედრილ ავთანდილ ჯორბენაძეს ის, რაც ვერ მოიპოვა შვიდი წლის განმავლობაში კონსტიტუციური იერარქიის მეორე პირმა - ზურაბ ჟვანიამ?

პრეზიდენტის და ამჟამინდელი სახელმწიფო მინისტრის ურთიერთობიდან ორი საგარაუდო დასკვნა გამომდინარეობს. პირველი: ედუარდ შევარდნაძე ავთანდილ ჯორბენაძის გამოიყენება საკუთარი სახელისუფლო სიერკის შეზღუდვად არ აღიქვამს. ან, მეორე: სახელმწიფო მინისტრისთვის სამთავრობო და პარტიული ბერკეტების გადაცემით, პრეზიდენტი, სინამდვილეში, ჯორბენაძის გამოიყენებს სულაც არ გეგმავს.

ის ფაქტი, რომ ამჟამინდელი სახელმწიფო მინისტრი პრეზიდენტის ურჩობას არ აპირებს, თითქმის უუქვეყნია. სხვა თუ არაფერი, ჯორბენაძის აბსოლუტურ დამოკიდებულებას პრეზიდენტზე მისი არასტებული საზოგადოებრივი რეიტინგიც უზრუნველყოფს. თუმცა, მაინც წარმოუდგენელია, რომ ედუარდ შევარდნაძემ ვინმეს, თუნდაც, უღირსად ერთგულს, თავისი ძალაუფლება რეალურად გაუფანტოს. ამიტომ, დასაფერებელია, რად ღირს ის ბერკეტები (პარტია, თავმჯდომარეობა, საპარლამენტო მხარდაჭერა, სამთავრობო გუნდი), რომლებიც ამა გულულებად მიიღო სახელმწიფო მინისტრმა ბოლო დღეების განმავლობაში?

შესავსებლად ყველაზე ადვილი მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის პოსტია. ყველა ლაქა და ტალახი, რომელიც კი პარტიის სახელს დაედო მისი შექმნის დიღანს, ამერიიდან პირდაპირ გადავა ავთანდილ ჯორბენაძის პოლიტიკურ ანფასზე. რაც შეეხება პარლამენტს და ჯორბენაძის უმრავლესობას: სამი ფრაქციის აღიანთა იოვითციალურ უმრავლესობას საფუძელი ვერ დაეფუძა, რადგან ამის საშუალებას ართიმეტეიკული ფაქტორი არ იძლევა. დღემდეც ასე იყო და მომავალშიც ასე გაგრძელდება, რომ 118

ხმით გადასაწყვეტ საკითხებს უსათუურად დასჭირდება ასლან აბაშიძის მომხრეთა ხმები. უმრავლესობით გავა მხოლოდ ის საკითხები, რომლებთან დაკავშირებითაც ჯორბენაძე და აბაშიძე მოილაპარაკებენ. ასე რომ, დღევანდელი (არაოფიციალური) საპარლამენტო უმრავლესობა ზუსტად იმდენადვეა ჯორბენაძის, რამდენადაც აბაშიძის. რაც შეეხება მთავრობის დაკომპლექტებას მოქკავშირის წევრებით და ჯორბენაძის ერთიანი გუნდის შექმნას. სახელმწიფო მინისტრის ძალაუფლების ყველაზე სუსტი რგოლი სწორედ მისთვის საწლი სამთავრობო გუნდია. როდესაც ჟვანია პრემიერმინისტრის პოსტს და გუნდურ კაბინეტს ითხოვდა, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე საზოგადოებას აღმასრულებელი ხელისუფლების ძირფესვიან შეცვლას პირადებოდა: კორუფციული პირამიდების წერეკას, კლანური მმართველობის მოშლას და რეალურ რეფორმებს. რამდენად განხორციელებადი იყო ჟვანიასა და მისი გუნდის გეგმები, რდევდ გაიოცანად რჩება. თუმცა, მაშინ სისტემური ცვლილებების პირობა საჯაროდ დაიდო.

ავთანდილ ჯორბენაძეს კი საზოგადოებისთვის არ აუხსნია, რას აპირებს მისთვის საწლი სამთავრობო გუნდთან ერთად. მან ღიად დაასახელა ერთადერთი მოტივი: მთავრობაში არ უნდა ყფნენ ადამიანები, რომლებიც სხვაგან იყურებიან. მაგრამ რას გეგმავს სახელმწიფო მინისტრი იმართთან ერთად, ვინც თვალს საკუთრივ მას მიაცხადებს - უცნობია. ჯორბენაძე არც კორუფციული პირამიდის წერეკაზე საუბრობს და არც კლანური მმართველობის მავნე შედეგზე. პარტიის ყრილობაზე უხალისოდ წარმოიტყუელი დაპირებები მოპოვებულებას ვერ მოახდენს საზოგადოებაზე, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას, დიდ ხანია, აღარ ენდობა.

წინა სახელმწიფო მინისტრები გაზრდილი ძალაუფლების გამო დაკისრებულ პასუხისმგებლობას გადაჰყვნენ. ის ბუნებრივიც იყო, რადგან კორუფციის მანქანა ხორფის საკუე მანქანას ჰგავს - არავის იბნდბს და სამოვითციალურ უმრავლესობას საფუძელი ვერ დაეფუძა, რადგან ამის საშუალებას ართიმეტეიკული ფაქტორი არ იძლევა. დღემდეც ასე იყო და მომავალშიც ასე გაგრძელდება, რომ 118

მის შეცვლას არ გეგმავს, ძალაუფლებას კი იმატებს და იმატებს. რით შეიძლება დასრულდეს ეს პროცესი? ძნელი წარმოსადგენია, რომ პრეზიდენტი ერთდროულად აპირებდეს მოქალაქეთა კავშირის და ჯორბენაძის აღორძინებას და ესოდენ რთული მიზნის მიღწევას ამ ორი ურეიტინგო პოლიტიკური სეგმენტის ერთმანეთთან მიშბით გეგმავდეს: ასეთ პრიმიტიულ და საარისკო გზას ედუარდ შევარდნაძე, ალბათ, არ აირჩევდა...

ვერსია მეორე: ბევრისთვის ბუნდოვნად, ზოგისთვის კი მკაფიოდ ჟღერდა ყრილობაზე პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული კიდევ ერთი “მესიჯი”: “**ჩემი ახალგაზრდა მეგობრების მიმართ სიძულვილის გრძნობა არ მაცხა. გვიყვარს თუ არა ერთმანეთი, სამშობლო უნდა იყოს ჩვენი უმაღლესი პასუხისმგებლობის საგანი; აშან უნდა გაგავართიანოს იმათთანაც კი, ვინც ახლა ზურგი შეგვექცია.**” პოლიტიკურ პროცესებს თავისი მყარი ლოგიკა აქვს და პრეზიდენტი ამ ფრაზებს ადრე თუ გვიან აუცილებლად რომ წარმოთქვამდა, სწორედ იმ ლოგიკით იყო განპირობებული. პოლიტიკური ტექნოლოგია, რომლითაც ედუარდ შევარდნაძე სახელმწიფოს მართავს, გამორიცხავს მძაფრ დაპირისპირებას და შიდა ამბოხს; სამაგიეროდ, ყოველთვის გულისხმობს პოლიტიკურ კომპრომისს. დღევანდელ მოქალაქეთა კავშირში ერთადერთი, ვის გემოვნებასაც შეიძლება პასუხობდეს ლოზუნგი “დაპირისპირებიდან თანამშრომლობისკენ” - ედუარდ შევარდნაძეა. ამიტომ, ბუნებრივია, პრეზიდენტი ეძებდეს მისასველელ გზებს თავის “ახალგაზრდა მეგობრებთან”, რომლებიც მისი ძალაუფლების მიზმა აღმოჩნდნენ; - მით უმეტეს, თუ მეამბოხეებს მხარს უჭერს საზოგადოება და თუ მათი სულისკვეთება გასაგები და მისაღებია დასავლეთის პოლიტიკური წრეებისთვის. ჟვანია-საკაშვილის ტანდემთან გამიჯვნა შევარდნაძის პოლიტიკური სისუსტეა და, შეუძლებელია, პრეზიდენტი თავისი პოზიიციის გაძლიერებაზე არ ფიქრობდეს.

ამიტომ, გაჩნდა ვერსია, რომ შევარდნაძეს მოქალაქეთა კავშირის გაძლიერება თავის პოლიტიკურ საყრდენად და სხეუბიან დასაპირისპირებლად კი არ სჭირდება, არამედ - პირიქით, ძველი პარტიის მეტ-ნაკლები გაძლიერებით, შესაძლოა, ედუარდ შევარდნაძემ შექმნას საფუძველი ახალი პარტიის საზარწონენედ; სახელისუფლო ბერკეტების ჩართვით, ნაწილობრივ მაინც გაათანაბროს ძალები სათამაშო მოედნის ორივე მხარეს; თავად კი ნელ-ნელა გაემიჯვნოს ყველა პარტიის და დადგეს ცალკე - როგორც პოლიტიკურ ძალებზე მაღლა მდგომი, დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა. ეს მას ახალ სიერცეს გაუხსნის არა მხოლოდ “მორჩილებთან”, არამედ “ურჩებთან” სათანამშრომლადც; თანაც, მისი “თვალის” ქვეშ ისევე თავიდან მოექცევა მთელი სათამაშო მოედანი.

ვერსიის იცვლის, რომ ეს მოხდება, რადგან პოლიტიკური პროცესის ბედს მხოლოდ ედუარდ შევარდნაძე აღარ მწყვეტს. მაგრამ, შესაძლოა, ჩაფიქრებული სწორედ ეს იყოს. და, თუმცა, მეორე ვერსია მაინცდამაინც დაბაჟერებლად ვერ გამოიყურება, მაინც ბუნებრივად ჩნდება პირველი ვერსიის ფონზე: გაცილებით წარმოუდგენელია, მოქალაქეთა კავშირმა და ჯორბენაძემ ერთმანეთი ისე აალორძინოს, რომ ოპორტუნიტაინი რეიტინგის მეორე პარტკმა საპარლამენტო არჩევნები მოიგოს, ჯორბენაძე კი პრეზიდენტი გახდეს. ამიტომ, გასაკვირო არ იქნება, ედუარდ შევარდნაძის მიერ ჩაფიქრებული მთი მოქალაქეთა კავშირის აღორძინებაზე სულ მთლად პრიმიტიული რომ არ აღმოჩნდეს.

თუმცა, ისიც სათქმელია, რომ პრეზიდენტი ოპტიმისტურ პროგნოზებს, კარგა ხანია, აღარ ამართლებს...

ფაქტაროლოგების კონგრესი

პირველი გავრძიდვა

მოუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ინფორმაცია, ხმები, ჭოჩები და, ბოლოს და ბოლოს, ფაქტებიც ამ განცხადების წინააშლდეგ მეტყველებენ, ცხადია, რომ ხელისუფლებამ, თუნდაც მხოლოდ განცხადების დონეზე, თავი პარტიებზე, ანუ იმათზე, ვინც დღევანდელიობა-ზეგალიდელიობათაა შეუზღუბელი, მაღლა დააყენა - აღწერა რა საკუთარი პერსონა, როგორც ერთობა, რომელიც არ არის ჩარეული ყოველდღიურ კინკლაობაში და მომავალზე ფიქრობს.

გარდა ზემოთქმულისა, ფუტუროლოგს აქვს სპეციალური ენა, რიტორიკა, რომელიც მას თავის კოლეგებთან ურთიერთობას უადვილებს. მაგრამ ამ ენას ერთი ნაკლი აქვს: ის აბსოლუტურად არ ესმით სხვებს, პირველი ლობისთვის საკმაოდ უცხაურ ენაზე დაიწყეს საუბარი. რა თქმა უნდა, ოცდაათ წელს გადაცილებული ეს ენა ბუნდოვნად აგირებდათ რაღაცა და ვინცებუღლს, ოღონდ კარგად ნაცნობს, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. ეს ენა,

რომლის მანიფესტაცია-პრეზენტაციაც პარასკევს საღამოს მოხდა, მდევდა შემდეგი ფრაზებისაგან: “ეს არის ბოლო იმედი”, “ჩვენ სინდვლები გვიყვარს და ამიტომ მოვიდეთ ამ რთულად და საპასუხისმგებლო პარტიულ ადგილებზე”, “ახლა ეს პარტია გასაჭირდება, და ჩვენ მოვდებით არა თანამდებობებისათვის, არამედ ქვეყანაზე ვფიქრობთ და გზრუნავთ”, “ჩვენ არ გვინდა ვიფიქროთ, რომ სხვა პარტიებიც ისევე არ ზრუნავენ ქვეყანაზე, როგორც ჩვენ” და ა.შ. ერთ-ერთ მონაწილეს კინალამ წამოსცდა, რომ მისი სამეცნიერო მუშაობა უკეთ მიდის მას შემდეგ, რაც პარტიაში შესვლა გადაწყვიტა, მაგრამ ბოლო ფრაზაზე ნაბორიკდა.

ამავე რიტორიკის გაგრძელება იყო “რუსთავი 2”-ის ეთერშიდ სამხედრო პროკურორის მიმართ ერთ-ერთი ექსპერტის გამოთქმული შენიშვნა, რომ ის ოპოზიციამი არ უნდა ჩაუდგინდა ვიფიქროთ, რომ სხვა პარტიებიც ისევე არ ზრუნავენ ქვეყანაზე, როგორც ჩვენ” და ა.შ. ერთ-ერთ მონაწილეს კინალამ წამოსცდა, რომ მისი სამეცნიერო მუშაობა უკეთ მიდის მას შემდეგ, რაც პარტიაში შესვლა გადაწყვიტა, მაგრამ ბოლო ფრაზაზე ნაბორიკდა.

წინს მიერ ერთი ჟურნალისტის ცემის გამო წარმოშობილი კამანია: მე არ მასსოვს სხვა მსგავსი რადიკალური რეაქცია, თუმცა, საქართველოს უახლესი ისტორია უხვადაა დახუშნდული ასეთი ფაქტებით.

ფუტუროლოგების განსაკუთრებული თვისება ის, რომ მათ ძალიან უყვართ გამოთვლები: თივლიან ყველაფერს და ყოველთვის. ამ გამოთვლების შედეგად ისინი დეტალურ პროგნოზებს იძლევიან. თუმცა, იმის გამო, რომ მათ ამოსვლად უმნიშვნელო ფაქტები და არასწორი შეფასებები აქვთ (რაც მოსალოდნელიცაა, ისინი ზომ, ძირითადად, მომავალზე არიან ორიენტირებულნი და მთლად კარგად ვერ ერკვევიან დღევანდელობაში), მათი პროგნოზები აბსოლუტურად და გარდაუვლად არასწორია. ალბათ, ქართულ ენაში სიტყვა ფუტუროლოგია ყველაზე ზუსტად გამოხატავს მის შინაარსს, იმდენად, რამდენადაც ამ ენაზე მოლაპარაკე საშუალო მოქალაქის თავში ის სიტყვა “ფუტუროლოგი” ინარმოება.

იმისათვის, რომ ფუტუროლოგად ჩამოყალიბდე, საკმარისია: 1. გამოაცხადო, რომ შენ მომავალზე ხარ ორიენტირებული და აწმოი გაინტერესებს მხოლოდ იმისათვის, რომ მომავალი გამოითვაო; 2. შეიმოშვაო საეციფიკური ენა, რომელიც ამ მომავალს აღწერს, და რომელიც არავის ესმის თვითონ შემშოშავებლების გარდა; 3. დაიწყო მომავლის გამოთვლა იმ

შემთხვევით ფაქტებზე დაყრდნობით, რომლებიც შენს გარემოშია.

თანამედროვე საქართველოს ხელისუფლებაში სამივე ფუტუროლოგიური მიზანი არსებობს. პირველი, რომ ზემოთ აღვწერეთ. რაც შეეხება მესამეს: ამკარაა, რომ ვილაც-ვილაცეებს მოქალაქეთა კავშირის ხელისუფლებაში ათწლიანი ყოფნის საფუძველი და პირობა ჰყოინათ: 1. შევარდნაძე; 2. ინტელიგენცია; 3. ხელისუფლების კორპორაციულობა, ანუ, ერთ მუშტად და ერთ ფორმტად საკრულებია. ეს, შეიძლება, მართლაც ასე იყო ათი წლის წინათ, მაგრამ დღეს ამ პირობების შინაარსი შეიცვალა: ანუ, არც შევარდნაძეა ის შევარდნაძე, თუნდაც იმიტომ რომ პრეზიდენტობას ორიოდ წელი აქვს დარჩენილი, არც ე.წ. ინტელიგენცია ის, რაც იყო: უფორ სწორად, ყოფილი საბჭოთა ინტელიგენცია გაიშალა და დაიშალა არასამთავრებო ორგანიზაციების, უცხოური და ადგილობრივი ფორმების მენეჯერების, ჟურნალისტების, საშუალო ბიზნესმენების და ინტელექტუალების ჯგუფებად და ქვეყაუფუნდა. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ინტელიგენცია, რომელიც ერთ სატელევიზიო სტუდიაშია შეკრებილი, გამოხატავს მხოლოდ იმ ერთ სტუდიაში შეკრებილი ხალხის აზრს. არც მეტს და არც ნაკლებს. და ბოლოს - მთავრობის ერთ მუშტად შეკრა საეცქოა, თუნდაც იმის გამო,

რომ ეს შეკერა - მათი თანამდებობაზე დარჩენისთვის გადასახდელი საფასურია.

ერთი რამ მინდა განემარტო მათთვის, ვინც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ოცდაათ წელს არ გადასცილებია: ის რიტორიკა, რომელიც ზემოთ აღვწერე, სხვა არაფერია, თუ არა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიტორიკის ზუსტი შესატყვისი. მე არ მინდა დროის მათთვის მშობლიურ ენაზე ალაპარაკებულოყვნენ. ზოგიერთი მათგანის ორატორიობის მოწმე პირეულად გაგებინ - იმდენად ჩუმად იყვნენ ისინი ამ ბოლო ათი-თორმეტი წლის განმავლობაში. უცნაური და მოულოდნელი იყო, თუ რა კარგად შეძლეს მათთვის მხრის აბმა იმ ახალგაზრდებმა, რომლებიც, ჩემი შეფასებით, ოცდაათ წელიც არ გადაცილებულან. სამწუხაროა, რომ საერთო დრო არ აღმოჩნდა საკმარისი - პიროვნულ, პარტიულ და სამშობლოს სიყვარულის შორის იერარქიაზე გამაბრულოერ მსჯელობა.

შეიძლება ვთიხზან, რომ ფუტუროლოგოიური რიტორიკის ეს რეანიმაცია მხოლოდ შირმაა და მის უკან ძლიერი, საბჭოთა კავშირის ტიპის, პოლიციური სახელმწიფო შექმნაა განზრახული, რომელიც ისევე გამოიყენებს ფუტუროლოგოიურ ენას, რო-

გორც საბჭოთა კავშირი იყენებდა. მაგრამ ჩვენს მდგომარეობას ის გამოარჩევს, რომ ამ პოლიციური სახელმწიფოს შექმნის მცდელობებიც ფუტუროლოგოიური გათვლებით და გამოთვლებით მიმდინარეობს: ფუტუროლოგებს ალბათ ჰგონიათ, რომ არჩევნები მათი სახელმწიფოს, მაგრამ ავიწყდებათ ერთი რამ - საბჭოთა კავშირი ფაღსიო რიკის ზუსტი შესატყვისი. მე არ მინდა დროის მათთვის მშობლიურ ენაზე ალაპარაკებულოყვნენ. ზოგიერთი მათგანის ორატორიობის მოწმე პირეულად გაგებინ - იმდენად ჩუმად იყვნენ ისინი ამ ბოლო ათი-თორმეტი წლის განმავლობაში. უცნაური და მოულოდნელი იყო, თუ რა კარგად შეძლეს მათთვის მხრის აბმა იმ ახალგაზრდებმა, რომლებიც, ჩემი შეფასებით, ოცდაათ წელიც არ გადაცილებულან. სამწუხაროა, რომ საერთო დრო არ აღმოჩნდა საკმარისი - პიროვნულ, პარტიულ და სამშობლოს სიყვარულის შორის იერარქიაზე გამაბრულოერ მსჯელობა.

შეიძლება ვთიხზან, რომ ფუტუროლოგოიური რიტორიკის ეს რეანიმაცია მხო

ვივა, პენტაკამპეონი!



პელე და რონალდო

გერმანია

მწვრთნელი:
რუდი ფიოლერი

შეცვლა:
კლოზე - ბირჰოფი 74'
იერემისი - ასამოა 77'
ბოდე - ციგე 84'

განლაგება: 3-5-2

ბრაზილია

მწვრთნელი:
ლუის ფელიპე სკოლარი

შეცვლა:
რონალდინიო - ევინიო 85'
რონალდო - დენილსონი 90'

განლაგება: 3-5-2

გოლები: 0:1, 0:2 რონალდო (67, 79)
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
სტადიონი: იოკოჰამა 70564 მაყურებელი

ცეცხლოვანი სამბასა და ტექნიკური ფეხბურთის გარდა, ბრაზილიამ მთელ მსოფლიოს პორტუგალიურად თვლაც ასწავლა. აქამდე ფეხბურთის ყველა მოყვარულს, იმ იშვიათი გამონაკლისების გარდა, რომლებიც პორტუგალიურ ენას ფლობენ, მხოლოდ ოთხამდე შეეძლო დათვლა, იოკოჰამას მატჩის შემდეგ კი ბრაზილიური ფეხბურთის გულშემატკივართა ლექსიკონს კიდევ ერთი სიტყვა შეემატა – პენტა. პენტაკამპეონე დღეიდან მხოლოდ ერთი გუნდია ამქვეყნად. ზუთჯერ მუნდიალის მოგება ვერც ერთმა ნაკრებმა ვერ შეძლო, სამბას შეიღების გარდა. ახლა ვინაა დაენევა ეგზოტიკურ სამხრეთამერიკელებს? განა ძალუქს ვინმეს, გაარდვიოს ამაზონის ჯუნგლები ხშირი ბარდები, ან დაძლიოს ათასი სინათლის წელი? ბრაზილიის ნაკრები ისე შორს წავიდა, რომ დანარჩენ საფეხბურთო სამყაროს მხოლოდ ოცნება თულა შეუძლია ასეთ მიღწევებზე.

ბრაზილიის წლევეანდელი ნაკრები სულაც არ იყო დახვეწილი ფეხბურთის იდეალური ნიმუში. ალბათ, ყველას ახსოვს, როგორ გაუჭირდათ ბრაზილიელებს საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევა. იმის საფრთხეც კი არსებობდა, რომ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები საერთოდ ვერ მოხვედრილიყვნენ მუნდიალზე. ასეთივე პრობლემის

წინაშე იდგა გერმანიის ნაკრებიც. განა დაავიწყდა ვინმეს გერმანელთა უკრაინული პლეი-ოფი, ანდა მოულოდნელი მარცხი ამხანაგურ მატჩში არაფრით გამოჩნეულ უელსის ნაკრებთან? არც ერთი გუნდისგან სპეციალისტები განსაკუთრებულს არაფერს მოელოდნენ მუნდიალზე. გერმანელებს სულაც ჯგუფში ჩარჩენას უწინასწარ მეტყველებდნენ, მაგრამ “კაცი ბჭობდაო...” ხომ გაგიგონიათ?

ფინალის წინ ბრაზილია ლამის მასობრივმა ისტერიამ მოიცვა. ხალხს კარგად ახსოვდა ოთხი წლის წინანდელი სამიწელი იმედგაცრუება, როცა მასპინძელმა ფრანგებმა ტეტრაკამპეონებს სასტიკი მარცხი აგემეს. ტორსიდა ბორგავა, შფოთავდა და მესხუთე ტიტულს ელოდა. კოპაკაბანაზე შეკრებილი როო-დე-ფანერიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ისე გამაყურებლად ქომაგობდა თავის ნაკრებს, რომ მათი ყიჟინა ბრაზილიელ ფეხბურთელებს იოკოჰამაში ესმოდათ. ეს მატჩი რონალდოს და კომპანიას აუცილებლად უნდა მოეგო, ბრაზილიაში არავინ ფიქრობდა მარცხზე, ყველა ტრიუმფისთვის ემზადებოდა და ტრიუმფის დროც დადგა.

ბრაზილია გერმანიის წინააღმდეგ, ისტორიული მატჩი, საოცარი ფინალი. ასეთი დაპირისპირება მუნდიალის ფინალურ ეტაპზე აქამდე არასოდეს ყოფილა. იოკოჰამაში გერმანელები და ბრაზილიელები პირველად წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ. სტატისტიკა მთლიანად სამხრეთამერიკელთა მხარეს იყო. ამხანაგურ მატჩებში

ბრაზილიას გერმანელებზე უკეთესი ბალანსი ჰქონდა, გარდა ამისა, იტალიელი არბიტრი პიერლუიჯი კოლინა გერმანელ ფეხბურთელებს საკმაოდ ცუდად ჰყავდათ დაცდილი. რატომ? გახსოვთ საკვალიფიკაციო ეტაპზე გერმანიის ნაკრების სამიწელი მარცხი ინგლისელებთან? გახსოვთ 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ტრაგიკული ფინალი “ბაიერნისა” და “მანჩესტერის” მონაწილეობით? ჰოდა, თუ გახსოვთ, ალბათ, მიხვდებით კიდევც, რის გამოც არ აღეძვრებოდათ გერმანელებს მაინცადამიანც კარგი მოგონებები იტალიელი არბიტრის დანახვაზე...

კოლინამ ვერც ამჯერად მოუტანა ბედნიერება გერმანიის ნაკრებს. თუმცა, კოლინას რას ვერჩით, გერმანელთა უბედურების მიზეზი გახდა ზუსტად ის კაცი, ვინც ბუნდესნაკრები ფინალამდე მიიყვანა – მიუნხენის “ბაიერნისა” და გერმანიის ეროვნული გუნდის შეუდარებელ გოლიკიერს ოლივერ კანს, რომელიც ფინალამდე მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ აღიარეს და იამინის სახელობის პრიზი გადასცეს, ყველასთვის მოულოდნელად, საოცარი, თითქმის სულელური შეცდომა მოუვიდა და ბრაზილიამ ანგარიში გახსნა. დიტმარ მსაჯის სასტვენის მოლოდინში, ნამოდგომა დააგვიანა. კოლინამ თამაში არ გააჩერა, რაც, შესაძლოა, შეცდომაც კი იყო. კანმა რივალდოს დარტყმა მიიგერიო, მაგრამ სველი ბურთი ხელიდან გაუსხლტა

და... რონალდო არასოდეს ამბობს უარს ამგვარ საჩუქრებზე. არც ახლა დაბნეულა, საოცრად მშვიდად და ზუსტად დაარტყა გერმანელთა კარში. ოლივერ კანი უძლური აღმოჩნდა...

ამით, ფაქტობრივად, ყველაფერი დამთავრდა. გერმანელები იბრძოდნენ, ცდილობდნენ, მაგრამ მოედნის ცენტრში ბალაკი აკლდათ, ზურგს უკან კი კანის შეუპოვარ სუნთქვას ვეღარ გრძნობდნენ და თამაშის გადარჩენაც ვეღარ შეძლეს. რონალდომ მეორეჯერაც ივსჟაცა და ბრაზილია პენტაკამპეონე გახდა.

უსაზღვრო იყო ბრაზილიელთა სიხარული და ოლივერ კანის მწუხარება. ვერავინ - ვერც თანაკლებელმა ტომას ლინკემ, ვერც მთავარმა მწვრთნელმა რუდი ფიოლერმა, ვერც მატჩის არბიტრმა პერლუიჯი კოლინამ და ვერც ბრაზილიელთა კაპიტანმა მარკოს კაფუმ ვერ შეძლო, ოლივერ კანისთვის ნუგეში ეცა. დამარცხებული კაპიტანი მარტო იყო თავის დაუძლეველ ტყივლთან ერთად. სწორედ ამისი ემინოდა ფრანც ბექენბაუერს, როცა ამბობდა, არ შეიძლება ყველაფრის მხოლოდ კანის მხრებზე გადატანაო. ერთხელ თვით ტიტან ატლანტოსსაც უმტყუნა მუხლმა და დედამინის თაღის ზიდვა ვეღარ შეძლო. რა გასაკვირია, რომ კანმა ამდენ სიმძიმეს ვეღარ გაუძლო. მან ხომ მთელი ტურნირი შესანიშნავად ჩაატარა, ბალაკთან ერთად გუნდი ფინალში გაიყვანა და მხოლოდ ერთი შეცდომა მოუვიდა, ერთადერთი

ბაპრძელაზა B2 ბაპრძელა

ვივა პენტაკამპიონი!

პირველი გპარდიდას

შეცდომა, რომელიც გერმანელებს თასის დაკარგვის ფასად დაუჯდათ...

რა გაენწყობა, ბუნდესნაკრები ღირსეულად დამარცხდა, “სელესაომ” ღირსეულად გაიმარჯვა. აზიურ მუნდიალზე ყველაზე სტაბილური გუნდი, ალბათ, მაინც ბრაზილია იყო. გერმანია კი მხოლოდ ერთხელ დამარცხდა და ისიც - ფინალში. კანს ნუგეშად ისლა დარჩენია, რომ 2006 წლის მუნდიალი გერმანიაში გაიმართება და მასპინძლები ოთხი წლის შემდეგ აუცილებლად შეეცდებიან მოეოთ ტიტულის მოპოვებას. მანამდე კი მსოფლიოს ახალი, უფრო სწორად, ძველი და მარავალგზის გამარჯვებული ჩემპიონი ჰყავს – პენტაკამპიონე ბრაზილიის ნაკრები, რომელიც ისეთ მწვერვალზე ავიდა, შეუძლია, ამაყად გადმოხედოს ქვემოთ დარჩენილებს და ნიშნის მოგებით ჰკითხოს: აბა, რომელი ხართ ჩემისტანა?!

რუდი ფიოლერი (გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):“როცა გუნდი ფინალში აგებს, საშინელ იმედგაცრუებას გრძნობს. ჩვენთვის ნათელი იყო, რომ ფავორიტებად ბრაზილიელები ითვლებოდნენ და გერმანიის ნაკრებისთვის ფინალში გასვლა უკვე დიდი წარმატება იყო, მაგრამ მაინც ძალიან დაგვწყდა გული მარცხის გამო.

ჩვენ ცუდად არ გვითამაშია. ორივე ტაიმში ბურთს კარგად ვაკონტროლებდით და მეტოქის იერიშებს ღირსეულად ვხვდებოდით. ბრაზილიელები საოცარი ინდივიდუალური ოსტატობით გამოირჩევიან, რამაც არაერთი პრობლემა გაგვიჩინა. ოლივერ კანს არ ვსაყვედურობ, მან საოცარად კარგად ითამაშა მუნდიალზე და სწორედ მისი დამსახურებაა, ფინალში რომ გავედით.

ბრაზილია ამ ტურნირზე საუკეთესო გუნდი იყო და სულაც არ არის საოცარი, ჩემპიონი რომ გახდა, მათ ეს ნამდვილად დაიმსახურეს.”

ფრანც ბეკენბაუერი (გერმანიის ნაკრების ყოფილი თავაჯი):“გერმანიის ნაკრებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა ამ მუნდიალზე და სერიოზული განაცხადი გააკეთა 2006 წლის ჩემპიონატის მოგებაზე. ვიცეჩემპიონის ტიტული საკმაოდ სერიოზული მიღწევაა.

ძალიან ვწუხვარ კანის შეცდომის გამო. ეს, ალბათ, იმიტომ მოხდა, რომ რივალდომ ძლიერად დაარტყა, თანაც ბურთი სველი იყო. ამგვარი რამ 1986 წლის ფინალში ტონი შუმახერსაც დაემართა, როცა არგენტინელებმა გოლი გაგვიტანეს.”

ოლივერ კანი (გერმანიის ნაკრების მეკარე): “რა თქმა უნდა, საშინელებაა, როცა მთელი ტურინირის მანძილზე მხოლოდ ერთ შეცდომას დაუშვებ და ასე მწარედ დაისჯები. შეცდომა, ბუნებრივია, ადამიანური თვისებაა, მაგრამ ფინალში დაშვებული შეცდომა ორმაგად მწარეა. ეს ბურთი უნდა ამეღო, ამაზე ორი აზრი არ არსებობს და ვერანაირი დამშვიდება ვერ მიშველის.

ძალიან კარგი გუნდი გვყავს, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნაკრები თავის ტიტულს აუცილებლად მოიგებს, თუნდაც ოთხი წლის შემდეგ.”

ლუიმ ფელიპ სკოლარი (ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): “საშინლად ბედნიერი ვარ. ბრაზილიის ნაკრები სახლში ჩემპიონად ბრუნდება, ეს მაშინ, როცა ჩვენი წარმატების არავის სჯეროდა. საოცრებაა! ჩვენ ბევრი ვიმრომეთ ამ გამარჯვების მოსაპოვებლად და, ალბათ, ვიმსახურებდით წარმატებას. ეს დღე არასოდეს დაგვავიწყდება.

ჩვენი წარმატების საიდუმლო ერთმანეთის და ფანების სიყვარულშია. ჩვენ უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობდით გულშემატიერებისგან, მათგან საოცარი დადებითი ენერგია მოდიოდა. ვულოცავ მთელ ბარზილიას, ეს უბრალოდ, სასწაულია.”

რონალდო (ბარზილიის ნაკრების ფორვარდი): “ ჩემი გოლები იმ დიდი სამუშაოს დაგვირგვინება იყო, რაც მთელმა გუნდმა გასნია ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. ძალიან მისარია, რომ ბომბარდირი გავხდი. ორი წელი მძიმე ტრავმა მქონდა და ვერ ვთამაშობდი. ღმერთმა მე და ჩემი გუნდი ღირსეულად დაგვაჯილდოვა განეული შრომისთვის. ამ გამარჯვებას ვუძღვნი ჩემს ოჯახს და ხალხს, იმათ, ვისაც მუდამ სჯეროდა ჩვენი და მხარში გვედგა.”

კაფუ (ბარზილიის ნაკრების კაპიტანი): “დღეს მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. ეს საოცარი გამარჯვებაა. ჩვენ უკვე მეხუთედ გავხდით მსოფლიო ჩემპიონები. ადფრთოვანებული ვარ ამით.

ეს წარმატება მინდა მივუძღვნა ჩემს მეუღლეს და შვილებს, ადამიანებს, რომლებიც მე ამ ქვეყნად ყველაზე ძალიან მიყვარს.”



REUTERS



REUTERS



REUTERS

მუნდიალი ჩინეთსაც მოუნდა

კორეა-იაპონიაში მუნდიალი ისე კარგად იყო ორგანიზებული, რომ ყველა სკეპტიკოსი საბოლოოდ დარწმუნდა, თურმე, აზიაშიც შეიძლება მსოფლიო ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარება.

ამან ჩინეთიც გაამხნევა და გადაწყვიტა, ფიფასთვის 2014 წლის მუნდიალის მასპინძლობის უფლება ეთხოვა. ჩინეთისთვის მასობრივი

სპორტული ღონისძიებების ჩატარება სულაც არ არის უცხო. ჩინელები უკვე ემზადებიან 2003 წლის ქალთა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატისთვის, 2004 წელს ჩინეთში აზიის თასის ტურნირია დაგეგმილი, 2008 წელს კი - ზაფხულის ოლიმპიადა.

ამის საფუძველზე ჩინეთში იმედოვნებენ, რომ შეიძლებენ 2014 წლის მუნდიალის ორგანიზებას.

საფრანგეთი

პირველობას კარგავს

ფიფა თავის ახალ რეიტინგს ოფიციალურად ოთხშაბათს გამოაქვეყნებს, თუმცა, სპორტულმა პრესამ უკვე იცის, ვინ რა პოზიციაზე იქნება ახალ სიაში. ასე, მაგალითად, ყველა სპორტული გამოცემა დარწმუნებულია, რომ, როგორც უნდა დასრულდეს მუნდიალი, ბრაზილია მაინც პირველ ადგილზე იქნება. სამაგიე-

როდ, დეგრადაცია განიცადეს საფრანგეთმა, არგენტინამ და იტალიამ.

სამხრეთ კორეისა და სენეგალის ნაკრებები ახალ რეიტინგში ბევრად უფრო მაღლა იქნებიან და ზოგიერთ ევროპულ გუნდსაც გაასწრებენ. ასევე პოზიციები გაიუმჯობესა ფინალისტმა გერმანიის ნაკრებმაც. ზუსტი სია 3 ივლისს გამოქვეყნდება.

კანი მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მეკარეა

გერმანიის ნაკრების მეკარე ოლივერ კანი ლევ იაშინის სახელობის პრიზს მიიღებს. ეს ჯილდო ფიფამ მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მეკარისთვის დაანესა. ფიფას ტენიკურმა კომიტეტმა ბუნდესნაკრების კარის დარაჯი მუნდიალის საუკეთესო მეკარედ ჯერ კიდევ ფინალურ შეხვედრამდე დაასახელა. კანმა თავისი გუნდი ისე მიიყვანა ფინალამდე, რომ საკუთარ კარში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა. თანაც, ეს მოხდა არა პლეიოფში, არამედ ჯგუფურ ეტაპზე. ის ერთადერთი გოლი ირლანდიელი რო-

ინგლისის ნაჰრახმა თავისი ქვეყანა გააჰოტრა

მსოფლიო ჩემპიონატში ინგლისის ნაკრების მონაწილეობა დიდი ბრიტანეთის ეკონომიკას 1,1 მილიარდი გირვანქა სტერლინგი (1,65 მილიარდი დოლარი) დაუჯდა.

პრესაში გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემებით, წაგება, ძირითადად, სამრეწველო წარმოებისა და სავაჭრო ბრუნვის შემცირებამ გამოიწვია. ეკონომიკური და საქმიანი გამოკვლევების ცენტრის ინფორმაციით, ყველაზე დიდი ზარალი კინო-

თეატრებმა, მუსიკალურმა და წიგნების მაღაზიებმა, ასევე დიდმა სავაჭრო სახლებმა ნახეს. ინგლისისა და დანიის ნაკრები გუნდების შეხვედრის დღეს სუპერმარკეტებში ვაჭრობის მოცულობა 20 პროცენტით შემცირდა. ინგლისური ანალიტიკური კომპანია “ეს-ჯი სექიურიტისის” წარმომადგენლის განცხადებით, “ქვეყნის ეკონომიკაზე საფეხბურთო ზეიმის უარყოფითი ზემოქმედების გამო ყველა განცვიფრებულია”.

გერმანელ ფანებს შევირაბული ბანკატის გარეშე დატოვებენ

გერმანიის საფეხბურთო დელეგაციას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ამ ქვეყნიდან ბუნდესნაკრების საგულშემატკივროდ კორეა-იაპონიაში გამგზავრებული 2000 ფანისთვის ჩემპიონატის დასრულებისთანავე გრანდიოზული ბანკეტი გადაეხადა. თუმცა, როგორც ჩანს, ამის ორგანიზება ვეღარ ხერხდება. გერმანიის ნაკრების პრეს-ატაშეს ჰერალდ შტენგერის განცხადებით, ბუნდესნაკრების ქომაგებს შეპირებულ ბან-

კეტს მაინც გაუმართავენ, ოღონდ ეს მოხდება არა იაპონიაში, არამედ გერმანიის ქალაქ ჰანოვერში, 18 ოქტომბერს. სწორედ ამ დღეს, ამ ქალაქში, გერმანიის ნაკრები უმასპინძლებს ფარერის კუნძულების გუნდს ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ეგიდით. მეტოქის სიძლიერიდან გაბომბიანურე, წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ამ დღეს გერმანელებს ნამდვილად საბანკეტოდ ქენებათ საქეე.

საუკეთესოსთან

ერთად უარსიც ირჰვევა

ჭეშმარიტად საფეხბურთოა დღევანდელი დღე. გარდა იმისა, რომ იოკოჰამაში პლანეტის უძლიერესი გუნდი გაირკვევა, თხიმბუში მსოფლიოს ყველაზე უარესი გუნდის ვინაობაც გაირკვევა.

თხიმბუ ბუტანის დედაქალაქია. ამ სამეფოს ეროვნული ნაკრები დღეს თავისზე მოცრო ქვეყნის,მონსერატის ნაკრებს უმასპინძლებს. ეს გუნდები ფიფას რეიტინგ-ში ბოლო ორ ადგილზეა. ასე რომ, დღევანდელ შეხვედრაში მსოფლიოს უარესი გუნდის ვინაობა გაირკვევა. მატჩის თარიღი შემთხვევით არ შეურჩევიათ. “ჩვენ ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ თავი გვეგრძნო საფეხბურთო სამყაროს განუყოფელ ნაწილად”, - ამბობს ბუტანის ფეხ-

ბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ჰარე ბასნეტი. დაახლოებით იგივე განაცხადა მონსერატის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმაც, რომელმაც ისიც დაამატა, ჩემი ფეხბურთელები დიდხანს ეძებდნენ ბუტანს ინტერნეტში, რომ გაეგოთ, სად უნდა ეთამაშათ და ძლივს მიაგნესო.

თავდაპირველად განმეორებითი მატჩის გამართვაც იყო დაგეგმილი, მაგრამ მონსერატის, ამ პატარა კუნძულის ერთადერთი სტადიონი ვულოკანის ლავით დიფარა. მატჩი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალამდე ოთხი საათით ადრე გაიმართება, შემდეგ კი ფინალური მატჩის სასურებლად შეხვედრის მონაწილენი ერთად მიუსხდებიან ტელევიზორებს.

რონალდინიოს

თურქეთში ელიან

თურქული “ბუმიქთაში”, რომელსაც მომავალ წელს დაარსებიდან 100 წელი უსრულდება, ბრაზილიელი რონალდინიოს გადაბირებას ცდილობს. ამჟამად ბრაზილიელი ფეხბურთელი ფრანგული “პარი სენ-ჟერმენის” საკუთრებაა და ნაკლებად სავარაუდოა, ფრანგებმა მუნდიალის ერთ-ერთი გამოირჩეული ფიგურა 12 მილიონ დოლარად დათმონ. სწორედ ამდენს სთა-

ვაზობენ თურქები ფრანგულ კლუბს. “ბუმიქთაშმა” ერთხელ უკვე სცადა რონალდინიოს წაყვანა იჯარით, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომლის შეძენაც თურქული კლუბის ხელმძღვანელებას სურდა, ბრაზილიელი ჯალმინიაა, რომელიც ესპანეთის “დეპორტივოში” თამაშობს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ხელი მოეცარათ.

პორტუგალიელთა რეჰორდი

ჩანს, პორტუგალიელებს არ ახსოვთ, რა დაუმართა 1982 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებს ერთდროულად სამი მთავარი მწვრთნელის ხელში. ან ახსოვთ, მაგრამ უკეთესის იმედო აქეთ. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ პორტუგალიის ნაკრებს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ სამი მთავარი მწვრთნელი დაუნიშნა – ჟოზე რომაო, რუი კარადორი და აგოსტინ ოლივეირა. ხელშეკრუ-

ლებს მწვრთნელებსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის ჯერჯერობით არ გაფორმებულია, ამიტომაც ევროპის ჩემპიონატისთვის უცნობია, გუნდს ეს ტრიო მოამზადებს, თუ რამე შეიძლება. აი, ოქტომბერში დანიშულ ამხანაურ მტხედვარაში შედეგების წინააღმდეგ კი დანადვილევით შეიძლება ითქვას, პორტუგალიელებს მწვრთნელთა ტრიო მოამზადებს.



საქართველოს საგარეო ურთიერთობების

8-07

არშაბათი

უიზბლდონის კოშმარული რეკორდი

ვაჟები. მესამე წრე: ტიმ ჰენმანი (დიდი ბრიტანეთი, 4) – უეინ ფერეი-რა (სამხრეთ აფრიკა) 7:6 (8:6), 3:6, 7:6 (10:8), 6:1.

ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 1) – ჯულიან ნოული (ავსტრია) 6:2, 6:1, 6:3.

მიხილ იუჟნი (რუსეთი) – ნიკო-ლა ესკუდე (საფრანგეთი, 16) 6:2, 1:6, 6:3, 6:3.

ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) – რანერე შუტლერი (გერმანია) 3:6, 7:6 (9:7), 6:4, 6:4.

ანდრე სა (ბრაზილია) — ფლავიო სარეტა (ბრაზილია) 2:6, 6:4, 6:3, 1:6, 6:1.

სიენგ შალკენი (ჰოლანდია, 18) – ჯეფ მორისონი (აშშ) 6:4, 7:6 (9:7), 6:0.

მიშელ კრატოხილი (შვეიცარია) – რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) 6:2, 6:3, 6:3.

იან ვაცეკი (ჩეხეთი) – ადრიან ვოინია (რუმინეთი) 6:1, 4:6, 6:3, 6:4.

ქალები. მესამე წრე: მაგდალენა მალეიევა (ბულგარეთი, 19) – სილვია ფარინა-ელია (იტალია, 10) 7:6 (7:2), 6:4.

ტამარინე ტანასუვარნი (ტაილან-დი, 20) – მელიენ ტუ (აშშ) 6:2, 3:6, 6:0.

მონიკა სელეში (აშშ, 4) – აი სუ-გიამა (იაპონია, 27) 4:6, 6:1, 6:4.

ლაიზა რეიმონდი (აშშ, 16) – კონ-ჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 2:6, 6:3 6:2.

ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) – ელენა ბალტაჩა (დიდი ბრიტანეთი) 6:4, 7:6 (7:2).

ელენა დემენტეივა (რუსეთი, 12) – ივა მაილი (ხორვატია, 23) 7:5, 6:2.

ვინუს უილიამსი (აშშ, 1) – მორინ დრეკი (კანადა) 5:7, 6:2, 6:1.

ჟიუსტინ ენინი (ბელგია, 6) – მი-რიამ კაზნაოვა (შვეიცარია) 6:4, 6:4.

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპი-ონატის არ იყო, უიზბლდონზეც დი-დი უცნაურობები ხდება. ვაჟთა ერ-თეულთა თანრიგში პირველი 16 გან-თესილიდან მესამე წრეში მხოლოდ ორმა ჩოგბურთელმა გააღწია. მერ-ვედფინალში გავიდნენ ტურნირის უმთავრესი ფავორიტი ლეიტონ ჰიუ-იტი და ინგლისელი გულშემატკიე-რების იმედი, მე-4 ნომრად განთესი-ლი ტიმ ჰენმანი.

უიზბლდონის კორტებზე ასეთი კომპარული შედეგი 1927 წლის შემ-დეგ არ ყოფილა. მაშინ ტურნირის ორგანიზატორებმა მოთამაშეთა გათესვა დაინწყეს. ძველი რეკორდი (მერვედფინალში მხოლოდ სამი გან-თესილი), პირველივე სეზონში და-ფიქსირდა, მაგრამ მაშინ ტურნირს მხოლოდ რვა განთესილი ჰყავდა. 16 განთესილისთვის კი ყველაზე ცუდი შედეგი 1967 წელს დაფიქსირდა,რო-ცა მეოთხე წრემდე მხოლოდ ოთხმა გააღწია.

ფორმალურად 16 საუკეთესოს შორის კიდევ ხუთი ჩოგბურთელი ფიგურირებს, მაგრამ ისინი 17-დან

32 ნომრებად არიან განთესილნი. თუმცა, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 32 მოთამაშის განთესვის წესი ახალი შემოღებულია და მხოლოდ “დიდი შლემის” ტურნირებზე მოქმე-დება.

უიზბლდონზე გუშინ დასვენება იყო. შაბათს კი ვაჟთა თანრიგში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა საკმაოდ ადვილად სამ სეტში დაა-მარცხა ავსტრიელი ჯულიან ნოული. ბოლო ირაკლი ლაბაძის მძლეველმა შვეიცარიელმა მიშელ კრატოხილ-მა, ასევე ადვილად სძლია ჩეხ რადეკ სტეპანეკს.

ინგლისელების იმედს ტიმ ჰენ-მანს კი ძალიან გაუჭირდა გამოცდი-ლი სამხრეთ აფრიკელი უეინ ფერეი-რას წინააღმდეგობის დაძლევა. ჰენ-მანს საამისოდ ოთხი სეტი და ორი ტაი-ბრეიკი დასჭირდა. **“ბევრი უნებლიე შეცდომა დავუშვი და ეს კინალამ ძვირად დამიჯდა”,** – გა-ნაცხადა ტიმ ჰენმანმა.

ქალთა შორის დამაჯერებლად ასპარეზობს ტურნირის პირველი ნომერი, ამერიკელი ვინუს უილიამ-სი. მან სამშობლოში ამჯერად კანა-დელი მორინ დრეიკი გაისტუმრა. დამაჯერებლად ითამაშეს სხვა გან-თესილებმაც. მონიკა სელეშმა იაპო-ნელი აი სუგიამა დამარცხა, ხოლო ბელგიელმა ჟიუსტინ ენინმა შვეიცა-რიელ მირიამ კაზნაოვას სძლია.

ამასობაში არ წყდება აჟიოტაჟი ინგლისში განვითარებული სარეკ-ლამო კამპანიის ირგვლივ. კომპანი-ებმა, რომლებიც საჩოგბურთო ეკი-პირებას აწარმოებენ გადაწყვიტეს რეკლამაში ეროტიკა გამოიყენონ. სარისკო სარეკლამო კამპანია ცნო-ბილმა ფირმა “ელესსა” წამოიწყო. ეტიუდში მთავარ როლს 19 წლის სუ-პერმოდელი, დანიელი ანინ ბინგი და ესპანელი მოდელი პალო რიერა-სანსი ასრულებენ.

ერთ-ერთ პლაკატზე, რომელიც ბირმინგემში უკვე აკრძალეს, წეიმი-ან კორტზე გამოსახულია საჩოგ-ბურთო ატრიბუტიკით შემოსილი მომხიბვლელი წყვილი, რომელიც, როგორც ჩანს, ჩოგბურთზე ნაკლე-ბად ფიქრობს. მარკეტინგის დარგში “ელესის” დირექტორის რუტ სტი-ვენსის თქმით, ეს და სხვა ჩვენს მიერ შექმნილი პლაკატები მოდისა და სპორტის შერწყმის დემონსტრირე-ბას ახდენს.

“ქალთა საჩოგბურთო ფორმა პროვოკაციულია, — ამბობს სტი-ვენსი, — და მამაკაცებს იზიდავს, ფეხბურთი - კაცური სპორტია. ჩოგბურთს ამ შემთხვევაში სხვა უპირატესობა აქვს და ჩვენ ვცდი-ლობთ, სპორტის ეს ელიტარული სახეობა სხვებისთვის თუფრო ხელ-მისაწვდომი გავხადოთ”. კოლეგის აზრს იზიარებს მარკეტინგის სა-კითხებში დიდი ბრიტანეთის ჩოგ-ბურთის ასოციაციის დირექტორი სტივ კარზონი. მისი თქმით, “ელე-სის” სატყუარა ჩოგბურთის კლუბებ-ში ბევრ აქტიურ ახალგაზრდას მიი-ზიდავს.

Formula-1



ვინუს უილიამსი



ტიმ ჰენმანი

Formula-1



მიხაელ შუმახერი

იუბილე

წარსულით მოამაყენი

დღეს ქართულ სპორტში იმგვა-რი ვითარებაა შექმნილი, რომ ახ-ლანდელზე მეტად წარსულით ვამა-ყობთ. ასეა კალათბურთშიც. 40 წლის წინათ, 1962 წლის 29 ივნისს, თბილისის “დინამომ” ევროპის ჩემ-პიონთა თასი მოიპოვა. ეს ჯილდო ჯერჯერობით ერთადერთია ქარ-თული საკლუბო კალათბურთის ის-ტორიაში. გუშინ, ამასთან დაკავში-რებით, ვერის ბალის საკალათბურ-თო დარბაზში საიუბილეო საღამო მოეწყო. სამწუხაროდ, იმ გუნდი-დან, რომელმაც 40 წლის წინანდელ ფინალურ მატჩში მადრიდის “რეა-ლი” დამარცხა (90:83), სამი კა-ლათბურთელი უკვე აღარაა ცოცხა-ლი, დანარჩენები - ვლადიმერ უგ-რეხელიძე, ლევან მოსეშვილი, ვა-

ლერი ალთაბავეი, ლევან ინწკირე-ვი, ამირან სხიერელი, ილარიონ ხა-ზარაძე და გურამ მინაშვილი - სცე-ნაზე იყვნენ. იქვე, ოღონდ არა სცე-ნაზე, არამედ ოლიმპიური კომიტე-ტის თავმჯდომარის ჯანო ბაგრატი-ონის გვერდით, იმ წარმატების მთა-ვარი შემოქმედი, მწვრთნელი ოთარ ქორქია იჯდა. როგორც საღამოზე ითქვა, იმ დღეს, ქართველ კალთ-ბურთელთა საქომავოდ, 82 წლის გრიგოლ რობაქიძე მისულა. მოგვი-ანებით გრიგოლ აბაშიძეს უთქვამს, ყამირიდან ამოხეთქილი ქართული ძალა დავინახეთ.

ვეტერანებმა იმდროინდელი ამ-ბები გაისინეს და “არტიმედის” ვარსკვლავთა სიმღერებითაც დატკ-ბნენ.

NBA

სანდიმენტალური ისტორია - თირკმელი დისტონი

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის გუნდის “ოუტა ჯაზის” მოთამაშემ, გრეგ ოსტერტაგმა თა-ვის დას, 26 წლის ემი ჰოლს, თირკმე-ლი აჩუქა. ემი დიაბეტით არის დაა-ვადებული და თირკმლის გადანერგ-ვას სასწრაფოდ საჭიროებდა.

დოქტორ რობერტ გოლდშტეინის თქმით, რომელიც თირკმლის გადა-ნერგვის ოპერაციას ბეილორის უნი-ვერსიტეტის სამედიცინო (ცენტრში ხელმძღვანელობდა, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და უკვე უახ-ლოეს დღეებში მოხდება გრეგისა და ემის ორგანიზმების აღდგენა.

“დონორის თირკმელი შესანიშ-ნავად მუშაობს და უახლოეს დღე-ებში ემი ბევრად უკეთ იგრძნობს თავს”, – განაცხადა გოლდშტეინმა, რომლისთვისაც გადანიერგვის ოპე-რაცია პირველი არ არის. 1995 წელს რობერტ გოლდშტეინმა წარსულში ლეგენდარულ ამერიკელ ბეისბო-ლისტს მკიე მენტლს ღვიძლი გადაუ-წერვა.

26 წლის ემი ჰოლი დიაბეტით შვიდი წლის ასაკში დაავადდა. თირკ-მელთან დაკავშირებულმა პრობლე-

მებმა კი სამი წლის წინათ შეანუხეს. 2002 წლის მარტში ექიმებმა დაასკე-ნეს, რომ თირკმლის გადანერგვა აუცილებელი იყო. ტესტებმა აჩვენ-ეს, რომ ძმის თირკმელი ავადმყოფი გოგონასთვის იდეალური იქნებოდა. იუტელ “ჯაზმენსაც” ბევრი აღარ უფიქრია და ოპერაციისთვის მზადე-ბა დაიწყო.

ორსაათიანი ოპერაცია თვითონ კალათბურთელმაც კარგად გადაი-ტანა. ექიმების თქმით, ოსტერტაგს უკვე უახლოეს უქმეებზე შეეძლება დატოვოს სამედიცინო ცენტრის კედლები. ვარაუდობენ, რომ “ოუტა ჯაზის” საწვრთნელი ბანაჟის გახს-ნამდე (2002 წლის ოქტომბერი) ოს-ტერტაგის ორგანიზმი მთლიანად აღდგენას მოასწრებს.

გიგანტი დონორი nba-ის ისტო-რიაში მეორე კალათბურთელი გახ-დებოდა, რომელიც შეეცდება ცალი თირკმლით ითამაშოს. 1999-2000 წლების სეზონში “სან-ანტონიოს” ფორვარდი შინ ელიოტი მოიდანზე მას შემდეგ დაბრუნდა, რაც 2000 წლის მარტში ძმის თირკმელი გადა-უნერგეს.

კრიზი

ტაისონს რეჰანში სწყურია

სამი კვირის წინათ ლენოქს ლუი-სისგან ნაცემ ტაისონს უთქვამს, მა-გის ცემის თავი აღარ მექნება და დროა, პროფესიულ კრიგს ჩამოე-შორდეო. რკინის მაიკის გადანყვე-ტილება ბევრს მოეწონა, თუმცა, ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც მოკრივეს არწმუნებდნენ, რომ მას ჯერ კიდევ შეუძლია ლუისის დამარ-ცხება. როგორც გუშინდელმა მოე-ლენებმა დაგვანახა, მათ ტაისონი თავის სიძლიერეში დაურწმუნებიათ და ისიც ლუისთან ხელმეორედ შებ-მას აპირებს.

კონტრაქტის მიხედვით, ტაი-სონს, მართლაც, ჰქონია უფლება, თავად კრიგის გულშემატკივრებისა. ამიტომაცაა, რომ ბევრმა არც კი იცის, თუ რომელი ვერსიითაა კლიჩ-კო მსოფლიო ჩემპიონი ძმძიმე წონა-ში, მთავარია, რომ მსოფლიო ჩემპი-ონია.

მოგაზის აქვსი ეტაპი

უკრაინაში ვლადიმირ კლიჩკოს გულშემატკივართა გაცილებით მე-ტი რაოდენობა ცხოვრობს, ვიდრე თავად კრიგის გულშემატკივრებსა. ამიტომაცაა, რომ ბევრმა არც კი იცის, თუ რომელი ვერსიითაა კლიჩ-კო მსოფლიო ჩემპიონი ძმძიმე წონა-ში, მთავარია, რომ მსოფლიო ჩემპი-ონია.

გუშინწინ უკრაინელმა მოკრი-ვემ კიდევ ერთხელ დაიცვა თავისი ტიტული (WBO ვერსიით), ამჯერად ამერიკელი რეი მერსერის ხელყო-ფისგან. ბრძოლამდე, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, ყველა პროგნოზს აკეთებდა. უმე-ტესობა გამართლდა კიდევ. თუკი ბრძოლამდე მერსერი ამბობდა, რომ კლიჩკოს სასტიკად გაუსწო-რდებოდა, ბრძოლის შემდეგ მხო-ლოდ იმის თქმალა მოახერხა,

ეტყობა, სათანადოდ არ ვიყავი მომზადებულიო.

მომზადებით კი, მართლაც, ვერ იყო მერსერი კლიჩკოსთან საჩხუბ-რად მზად. ამაზე, გარდა იმისა, რომ უკრაინელმა მოიგო, სტატისტიკაც მეტყველებს. მერსერის 124 დარტე-მიდან კლიჩკოს მხოლოდ 54 მოხვდა, მაშინ როცა ამერიკელს 429-დან 193-ჯერ მოხვდა უკრაინელის დარ-ტყმული. ბრძოლის შემდეგ კლიჩკო მერსერზე იტყვის, ასეთი ძლიერი ნი-კაპის პატრონი ჯერ არ შემხვედ-რიაო. უკრაინელი მოკრივის უპირა-ტესობაზე ისიც მეტყველებს, რომ მან მეტოქე პირველივე რაუნდში ჩა-აგდო ნოკდაუნში, მეორე ნოკდაუნი აमेრიკელმა მეხუთე რაუნდში ინე-ნია, მეექვსეში კი, როცა სახე დაუ-სისხლიანდა, რფერიმ ბრძოლა შეწყვიტა.



ვლადიმირ კლიჩკომ (მარჯვნივ) ტიტული დაიცვა

REUTERS

„ფერარი„ და მუნდიალი

იტალიური “ფერარის” ინტერ-ნაციონალური შემადგენლობა ისე-თი შესაშური პერმანენტულობით იგებს თითქმის ყველა რბოლას, რომ ავტოსპორტში ნაკლებად ჩა-ხედულ კაცს იქნებ კითხვაც კი და-ებოდეს, მაინც რა საჭიროა ეს გაუ-თავგებელი რბოლები, თუ ყველა ტურნირის ტრიუმფატორი მუდამ მიხაელ შუმახერი გახდება და ან რუბენს ბარიკელო?

ფორმულა 1-ის რბოლებს ხან გერმანელი პილოტი იგებს, ხან კი - ბრაზილიელი და პედესტალზე მუ-დამ დგას ლუკა დი მონტეზემოლოს “ფერარი”, რომელიც, წარმატების მოსაპოვებლად, ხანდახან პატარა სპორტულ ემშაკობებსაც არ ერი-დება. ემშაკობა იყო, აბა, რა, რაც ავსტრიის გრან-პრიზე მოხდა. რბოლის მოგების პოტენციური შანსი ჰქონდა ბარიკელოს, მან კი, ხელმძღვანელობის მითითებით, შუმახერს დაუთმო გზა და დაფნის გვერგვინიც გერმანელს დარჩა. ამ გამარჯვებით შუმახერმა, ფაქტობ-რივად, უკვე გაიზალდა მსოფლიო ჩემპიონობა, “ფერარის” კი კრიტი-კის ქარცეცხლი დაატყდა, როგორ თუ ბარიკელომ და შუმახერმა პუბ-ლიკას მძაფრი რბოლის ხილვის სი-ამოვნება მოაკლესო.

ლუკა დი მონტეზემოლო სულაც არ ფიქრობს, რომ მისმა პილოტებ-მა რაიმე საშინელება ჩაიდინეს. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ, გუნ-დის ინტერესებიდან გამომდინარე, ბარიკელოს მხრიდან მსხვერპლის გაღება სავსებით დასაშვებია იყო. განა რა მოხდა, ბარიკელოს მაგიე-რად შუმახერმა რომ დაიკავა პირ-ველი ადგილი? “ფერარის” ხომ მა-ინც ვეღარ დავნევა უახლოესი მდევარი “მაკლარენი”.

“ის, რაც ავსტრიაში მოხდა, აღარ გამეორდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ “ფერარი” თავისი ინტერესებისთვის არ იბრძოლებს. ჩვენ ყოველთვის გუნდურ ტაქტი-კას ვანიჭებდით უპირატესობას და მომავალშიც ასე მოვიქცევით, რა-თა პილოტებმა საკუთარ კარიერას არ ანაცვალონ გუნდის წარმატე-ბა,” – ამბობს პრეზიდენტი.

შუმახერმა ავსტრიის გრან-პრი კი მოიგო, მაგრამ ვაჟკაცობა იყო, სიმართლე ელიარებინა და დაჯილ-დოების ცერემონიაზე ბარიკელოს მიულოცა გამარჯვება, რაც საზო-გადოებამ სკანდალურ მოვლნად ჩათვალა.

შუმახერსა და ბარიკელოს შე-სანიშნავი ურთიერთობა აქვთ ერ-თმანეთთან, მაგრამ ამ ჰარმონიას დარღვევა ემუქრება. ბრაზილიელი ბარიკელო “სელესაოს” გულშე-მატკივრობს მუნდიალზე, გერმა-ნელი შუმახერი კი - ბუნდესნაკ-რებს. ორივე ღრმად იყო დარწმუ-ნებული თავისი გუნდის გამარჯვე-ბაში და, რაკი არ შეიძლება, მსოფ-ლიოს ორი ჩემპიონი ჰყავდეს, მატ-ჩის შემდეგ ბარიკელოს და შუმა-ხერს, ალბათ, კარგა ხანს არ მოუბ-რუნდებათ გული ერთმანეთზე. სხვათა შორის, “ფერარის” პრეზი-დენტი ლუკა დი მონტეზემოლოც ბრაზილიის ნაკრების გულშემატ-კივარია და მიხაელ შუმახერი გუნ-დში აშკარა უმცირესობაშია დარ-ჩენილი. რა გაეწყობა, როგორც მონტეზემოლო ამბობს, ბრაზილი-ელები მართლაც ნათელ და ხალი-სიან თამაშს უჩვენებენ, რაც გულ-შემატკივრებს გერმანულ პრაგმა-ტიზმზე მეტად ხიბლავს. ამიტომაც ჰყავს “სელესაოს” ამდენი ფანი მსოფლიოში.

Canada Day



სელინ დიონი

REUTERS



ჯან კევერი

REUTERS

ინოო ბუჰაბიძე

1 ივლისი კანადის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების დღეა. ამბობენ, რომ საქართველოში კანადას ისე კარგად არ იცნობენ, როგორც, მაგალითად თურქეთს, გერმანიას, თუ იგივე შტატებს. მგონი, ბევრი შეერთებულ შტატებსა და კანადას ერთ სახელმწიფოდაც აღიქვამს. თუმცა, ისეთი სხვაობებია, როგორც ცასა და დედამიწას შორის. და საზღვრის გადაკვეთაც ამ ორ ქვეყანას შორის არც ისე მარტივი რამ არის, როგორც ბევრ ქართველს წარმოუდგენია.

ერთი კვირის ჩასულს უცხო ქვეყანაში უფრო მეტი მოსაყოლი აქვს, ვიდრე ექვს წელიწადზე მეტხანს მცხოვრებს. ყველაფერი ჩვეული და ნაგულისხმები ხდება.

კანადა ტერიტორიულად ყველაზე დიდი ქვეყანაა მსოფლიოში. მოსახლეობა კი მხოლოდ 30 მილიონ ადამიანს წარმოადგენს და ძირითადად შეერთებული შტატების საზღვრის ზოლის გაყოლებაზე ცხოვრობს. ელემენტარულად იქ უფრო თბილა და ამიტომ. ნებისმიერი დიდი ქალაქიდან მეზობელ ქვეყანაში გადასვლას სულ რამდენიმე საათი სჭირდება. თუმცა ქართველების მენტალუტეტი 5 საათი მანქანით მგზავრობა უადრესად დიდი დროა, კანადელი კი, აგერ ყურის ძირშიაო, გეტყვის. სკოლაში (კომუნისტების დროს, ახლა არ ვიცი) ბავშვებს გეოგრაფიას

რომ ასწავლიდნენ, ასეთ შედარებებს ახდენდნენ: აი ამ ქვეყანაში აი ამ ქვეყნის ტერიტორია ამდენჯერ ჩაეტევავო. რთული სათქმელია, საქართველო რამდენჯერ ჩაეტევა კანადის ტერიტორიაზე (ეს მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებულ გეოგრაფს მოეკითხოთ), მაგრამ ბევრად დიდი რომ არის, ეს ფაქტია.

მოკლედ, 1 ივლისი კანადელების ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული დღესასწაულია. გარდა იმისა, რომ გრძელი week end-ია (დასვენებას ერთი დღე ემატება), ამასთან ერთად ზაფხულიც არის და კანადელები ისე აფასებენ ამ ორ რამეს, მეტი რომ არ შეიძლება.

ზედმეტად პატრიოტულად განწყობილი მოსახლეობა დედაქალაქს მიაშურებს და იქ პარლამენტის წინ მდებარე ბორცვზე ბალახზე გორაობს, დროშებს აფრიალებს და სასუსნავებს მიირთმევს. კვებ-კამერაც კი დაუყენებიათ პარლამენტის შენობის წინ და ყოველ 60 წამში (არა წუთში) ერთხელ ახალ-ახალ მიიჯს გადმოსცემს. ასე რომ, სურვილი თუ გაგაჩნიათ, შეძევრით ინტერნეტში. გირჩევთ Google Canada day აკრიფოთ და მაგადგავარ რაღაცას წააწყდებით.

ისე ღირსშესანიშნავი ფაქტია, თითქმის ყველამ იცის ეროვნული ჰიმნის არათუ მელოდია, არამედ სიტყვებიც. სკოლაში დღე ჰიმნის სიმღერით იწყება. ძალიან სასაციო-

ლოა იმის ყურება, როგორ დგანან 6 წლის კანადელები სკოლის მაგიდებთან და O Canada-ს ამღერებენ. ბავშვობიდანვე ჰიმნდაზეპირებული კანადელები სიჭაბუკეშიც და ზრდასრულ ასაკშიც ამაყობენ თავისი ქვეყნით. ისე, რატომაც არ უნდა იამაყონ. მარმანდლამდე გაეროს რეიტინგით კანადა პირველი ქვეყანა იყო და სულაც გაეროს რეიტინგის გარეშეც ყველამ იცის, რომ კარგია იქ ცხოვრება. თავისი პრობლემები იმათაც აქვთ. რამდენად უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს თქვენთვის, კანადაში არსებობს მოსახლეობის ნაწილი, რომელსაც კანადიდან გამოყოფის დიდი სურვილი გააჩნია.

კვებეკი კანადის ერთადერთი ფრანგულენოვანი პროვინციაა. მისი დედაქალაქია კვებეკ-სიტი. მის ადგილას ინდიელთა სოფელი სტადაკონა იმყოფებოდა. მე-16 საუკუნეში ჩასული ფრანგი მკვლევარი ჟაკ კარტიე მანდ შეხვდა ინდიელთა ბენობის წინ და ყოველ 60 წამში (არა წუთში) ერთხელ ახალ-ახალ მიიჯს გადმოსცემს. ასე რომ, სურვილი თუ გაგაჩნიათ, შეძევრით ინტერნეტში. გირჩევთ Google Canada day აკრიფოთ და მაგადგავარ რაღაცას წააწყდებით.

თით არსებულ მიწებს მთლიანად კანადას უწოდებდნენ. ჩრდილოეთში მცხოვრებ აბორიგენებს არც კი ჰქოთხეს არაფერი. სხვათა შორის, თავიდან კანადა ფრანგების კოლონი იყო, მერე ბრიტანელებმა დაახვეწინეს უკან და სწორედ ამ შემორჩენილი ფრანგების ნაწილს ამოძრავებს დამოუკიდებლობის სურვილი. "საზიზღარ" სეპარატისტებს არ მოსწონთ კანადელთა "მონობაში" ცხოვრება და დამოუკიდებლობის ქარცეცხლით შეპყრობილები დაბოლმელები ხვდებიან 1 ივლისს.

საინტერესო ფაქტია, კანადაში ლუდი გამოდის სახელით "მოლსონ ქენედიენ" (კანადური მოლსონი). კვებეკში კი იგივე ლუდი "ექსპო მოლსონი"-ს სახელით არის ცნობილი. სხვათა შორის, ამ ფირმის ლუდების ყველა რეკლამა ძალიან პატრიოტულია და ერთი იგივე ფრაზით მთავრდება: "მე კანადელი ვარ" (I am Canadian). მათი გვერდის მისამართი ინტერნეტში კი iam.com არის. წარმოიდგენია, რა გულყრა ემართებათ სეპარატისტებს.

ერთი სიტყვით, კანადის ფედერალურ მთავრობას საკმაოდ რთული ამოცანა აქვს გადასანყვეტი. "ჯიუტი" კვებეკელების გულის მოგება არც ისე მარტივია. ბევრ კვებეკელს სელინ დიონის სახელის გავონებაზე ბურძღლავს. გაინგლისურენოვნებული სელინი არ იხვევს კვებეკელების სიმპათიას. მათ თვალში მან

ხომ მათ კულტურას და ენას ზურგი აქცია და კანადის დროშის მოფრიალე გახდა.

კვებეკში ცხოვრების წესიც ძალიან განსხვავდება. საგზაო ნიშნებიც და შუენიშნებიც კი სხვანაირი აქვთ. კვებეკ-სიტი (კვებეკის დედაქალაქი) ალბათ ყველაზე ევროპული სტილის ქალაქია ჩრდილოეთ ამერიკაში. კვებეკელებს შორტებისა და მაისურების ჩაცმის გარდა, სხვა რაღაცეების ჩაცმაც აინტერესებს, განსხვავებით, მაგალითად, ტორონტოელებისგან, რომელთა უმეტესობა ზომისა და წონის მიუხედავად მოკლე შარვლებსა და T-shirt-ებში დაიაურება. კვებეკელებს მობილური ტელეფონებიც უჭირავთ ხელში. დანარჩენ კანადელებს (ახლად ჩამოსული რუსების გარდა) ნაკლებად აინტერესებთ ტექნიკა, რომელიც რაღაცას ასხივებს და თავის ტკივილს ინვეს (კვლევის შედეგები).

კვებეკში სიგარეტის მონევა ციტიქმის შეუზღუდავად შეიძლება. ცოტა ხნის წინ კანადის ბევრ ქალაქში სიგარეტის მონევა ბარებშიც კი აიკრძალა. ოტაველებმა გამოსავალი უცებ იპოვეს. საქმე ის არის, რომ ოტავე ორი პროვინციის - ონტარიო-სა და კვებეკის საზღვარზეა განლაგებული. ფაქტობრივად მას კვებეკის ქალაქ ჰალისგან მხოლოდ ერთი ხიდი ჰყოფს. ფეხითაც გადახვალთ ამ ხიდზე და უკან მოგრჩებათ NO SMOKING-ის ნიშნები. ბარების,

რესტორნებისა და კაზინოების მფლობელებს შემოსავალი გაეზარდათ ოტაველებს კი საშუალება მიეცათ ფილტვები ნიკოტინით გაჟღენთილი ჰაერით შეიესონ.

განსხვავებების მიუხედავად, ფრანგულენოვანი პროვინციის მოსახლეობის უმეტესობა ფედერაციის მომხრეა. ოტავის მთავრობამ უკანასკნელ წლებში ბლომად ფული ჩაყარა "ჯიუტი" კვებეკელების გულის მოსაგებად. და ბოლოს და ბოლოს რა უნდათ მეტი, კანადის პრემიერ-მინისტრი ინგლისურად ფრანგული აქცენტით ლაპარაკობს. ლიბერალი ჟან კრეტიენი 28 წლისა ყოფილა, როცა ინგლისურის სწავლა დაუწყო.

დასკვნის სახით კი იმის თქმა შეიძლება, რომ დამლევლი 1 ივლისის ბოლოს ფეიერვერკი იმართება. ღამის 10 საათზე გამოეფინებიან კანადელები გარეთ ფეიერვერკების საყურებლად. ძნელი დასაჯერებელი იქნება, ვინმე გულგრილი თუ დარება ამ სანახაობის მერე. ოტავეში ყველაზე დიდი შოუ იმართება. თუმცა ყველა ქალაქს თავისი ემზიანი "სალუტები" აქვს. კინგსტონში, კანადის პირველ დედაქალაქში, ფეიერვერკი წმინდა ლავრენტის მდინარისა და ონტარიოს ტბის გასაყარზე იმართება. სანაპიროზე მდგარი ხალხი ისტორიულ "ფორტ ჰენრიდან" ქვემეხებით გასროლილი ფერადი შუქების ყურებით ტკებთ.

2 ივლისი (21.00) - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი
„GMA-ჭაბუკი, წარმოგიდგენთ:
გოგ მინცარი და თხილისის გიგ-ბანდი (აგზ-საქართველო)
აგზ-ის საელმოსა და ბადამბაღლთა კავშირის მხარდაჭერით

3 ივლისი (21.00) - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი
„ლაკოილი, წარმოგიდგენთ
ელ ჯაკო და ბანდი (აგზ)

3 ივლისი (21.00) კლუბი „პოი,
„რასტაფარეზები, წარმოგიდგენთ
ქაბაჟა ამირანაშვილის ბანდი (აგზ)
გოგ მინცარის კვარტატი (აგზ)

4 ივლისი (21.00) კლუბი „პოი,
„ნასაფა, წარმოგიდგენთ
იგორ ზრილი და მაია ბარათაშვილი (რასტა, საქართველო)
22.00 დანის როლინგის „ბადმოზ ანდ კოზანი, (დინო ბრიტანეთი)

5 ივლისი (21.00) - კლუბი „პოი,
„კანტი, წარმოგიდგენთ
ბაზ-კვარტატი (სომხეთი) ქაბაჟა ამირანაშვილის ბანდი (საქართველო)
ალფრად „პი ვი, ელისის ანსამბლი (აგზ)

თხილისის გიგ-ს საერთაშორისო
კაზ - ფესტივალის პროგრამა

დავით ბახრაიძის სჯიტი

ბადართა „მხალკანრიკუა“, კორეა ნახევარფინალშია!

რასაკვირველია, ყველამ იცის იაპონიის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ, ლუდით გაღვმილმა რუსმა ფანებმა როგორ დაღვენეს მოსკოვის ცენტრი. მაგრამ თითქმის არავინ უწყის კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზის სიახლოვეს, მქმხერად მოკნიკლე რამდენიმე ჩიხელი მევიოლინის ცემა-ტყეპის შესახებ. ისინი ჩაიკოვსკის საერთაშორისო კონკურსის მონაწილეები იყვნენ და, ვვინებ, უნდა დაეკრათ...ჩემთვის ეს ფაქტი უკვე ჩავლილი საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატისა და ჩაიკოვსკის საერთაშორისო კონკურსის ყველაზე უცნაური, მაგრამ ზუსტი გადაკვეთაა.

უცნაური იმიტომ, რომ ბლატერის წყალობით მსოფლიო ფეხბურთის ექსტენსივობამ (როგორც იქნა!) ეგზოტიკური სიმახინჯის ფორმა მიიღო და ზუსტი იმიტომ, რომ წახალისებული საფეხბურთო ექსტრემისტული პატრიოტიზმი, სულ უფრო შემადრწუნებელ ფორმებს იღებს, არამხოლოდ ბანალური “მავტრაკიანების” წინააღმდეგ. სხვათა შორის, ზოგადსაკაცობრიო მუსიკის დამკერელებსაც - მტარკმან-კრემერ-ბამ-მეტებს არანაკლები აგერესია ემუქრებათ, თუმცა ეს უკვე პოლიტიკური ოპერის არიოდანაა. ამჯერად კი ჩემში გახლენილ საფეხბურთო-სამუსიკო პარალელზედ მოგახსენებთ.

ყოველი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებისას პრობლემა მქონდა – როგორ შემეთავსებინა იგი ჩაიკოვსკის საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსთან, ისე, რომ შთაბეჭდილებებით ცალმხრივად არ დავსახიზრებულებყვი. ბედისწერამ ხომ უცნაურად იწება, რომ ფიფა-სა და საბჭოთა კულტურის ჩინოვნიკთა გზები ოთხ წელიწადში ერთხელ, ზუსტად ერთსა და იმავე დროს გადაკვეთილიყო. მოგვიანებით, ამგვარ დამთხვევას საბჭოთა კულტ-ფუნქციონერებმა მისტიკური ახსნა მოუძებნეს, თითქოს მსოფლიო საფეხბურთო ზეიმი ჩაიკოვსკის კონკურსს რეკლამასაც კი გაუწევდა.

ჩაიკოვსკის სახელობის პირველი საერთაშორისო კონკურსი 1958 წელს გაიმართა, როდესაც შედეგითი საფეხბურთო ევროპა და ლათინური ამერიკა (ცხადია, ყოველგვარი აფრო-აზიური “დანამატების” გარეშე) მეექვსედ არკვევდნენ უძლიერესს. ისეთის 58 წელი 17 წლის “შავი მარგალიტის”, პელეს გამობრწყინებას წინმავდა, ვისთვის კი საფორტეპიანო რომანტიზმით გაბრწყინებულ და პირველ კონკურსში გამარჯვებულ ვან კლაიბერნს. უკვე მოგვიანებით, როდესაც თავად კლაიბერნის სახელობის საფორტეპიანო კონკურსი დაარსდა, საბჭოთა ტელევიზია დიდ სიამოვნებით ისხდებოდა დოკუმენტურ კადრებს, როგორ დასერიონბს გადიმებული, ახალგაზრდა ამერიკელი პიანისტი მუშებთან და კოლმურნეებთან ერთად სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. სხვათა შერგნეებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ეს ამბივალენტური საკოლმურნეო-საფორტეპიანო კადრები დღემდე უცნაურად მახსოვს. ისევე, როგორც მსოფლიო ჩემპიონატის უამრავი ფრაგმენტი, გართიმული ჩაიკოვსკის საფორტეპიანო თუ სავიოლინო კონცერტის უამრავ შემსრულებლთან.

1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატს შეუთვითი “ბერიოზუაით” ვუყურებდი. სოფელში ტელევიზორები მაშინ ეგზოტიკას წონავდა, რომ არა ვთქვა - ფუფუნებას. ბუნდოვნად მახსოვს ხელშეხვეული ბეკუნბაუერი, ტოსტაოს ზანტი სისწრაფე, პელეს მიერ დარტყმული და ბენქსის მიერ მოგერიებული მკვდარი ბურთი. თუმცა, ისიც მახსოვს, როგორ გვაუწყა ცხონებულმა ომარ ტვიამქმ (“მოამბის” ნამგვანი იყო), ლიანა ისაკაძის წარმატების შესახებ. სწორედ იმ დღეებში უცნობი ქართველი მევი-

ოლინე ჩაიკოვსკის კონკურსის მესამე პრემიის ლაურეატი გახდა. გიღონ კრემერი გამარჯვებული იყო, ხოლო ვლადიმირ სპივაკოვი - მეორე პრემიის ლაურეატი. გასაგებია, რომ არ არის უინტერესო კამბანია.

1974 წელს ჩაიკოვსკის კონკურსს მსტისლავ როსტროპოვიჩი ხელმძღვანელობდა. ეს წელი პოლონეთ-ბრაზილიის მატჩითა და პიანისტ ანდრეი გავრილოვის მიერ ბეთჰოვენის საფორტეპიანო სონატით მახსოვს. მეერ რა, რომ მაშინ ბრაზილიამ წააგო, ხოლო ჩაიკოვსკის კონკურსის გამარჯვებული, ზემოსხენებული გავრილოვი ჯერ ცნობილ პიანისტად იქცა, შემდეგ კი გალოთდა და ლონდონში გაიქცა. 1978 წელს არგენტინაში გამართულ ჩემპიონატზე საფრანგეთის სიმპათიური ნაკრების ფიასკო ერთობ განვიცადე, ისევე, როგორც ჩაიკოვსკის კონკურსზე თითქმის გენიალური პიანისტის, პასკალ დევეუაიონის მეორე პრემია. ეს იყო სრული მარაზმი, დახვეწილი ღორბა, ასპროცენტიანი საბჭოთა სიჭაჯე – საფორტეპიანო ჟიურიმ, რომელსაც საბჭოთა კომპოზიტორი, ანდრეი ეშპაი ხელმძღვანელობდა, ფრანგ პიანისტს, რომლის მიერ შესრულებული დებიუსი დღესაც მახსოვს, აშკარად წაართვა პირველობა. სამაგიეროდ, გაიმარჯვა მუსიკიმ-ცოდნეების მიერ “სუხარად” მონათლულმა მიხაილ პლეტნიოვმა, რომელსაც შემდეგში თავი არაფრით გამოურჩევია.

1982 წელს, როდესაც ინგლისის საფეხბურთო ნაკრები ესპანეთისა და გერმანიის ქვეჯგუფში ჩარჩა, მისმა თანამემამულემ, ბრწყინვალე პიანისტმა, პიტერ დონაჰიუმ ჩაიკოვსკის კონკურსზე ყველა დამაგრა. თუმცა, ჟიურიმ გამარჯვებმა მაინც არ აღორსა. მეორე პრემია მას ვლადიმირ ოვჩინიკოვთან გაუყვეს; პირველი პრემია კი, საერთოდ არავის მიაკუთვნეს. ამ ამბავში ჟიურის თავმჯდომარე, კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი ცუდად გაერია, მაგრამ როგორც შემდგომში გაირკვა, ამ უკადრის ამბავს ცეკადან აძალეზდნენ. ამავე წელს კი, ვოკალისტთა კონკურსი პაატა ბურჭულაძემ მოიგო, რომელიც ჟიურის თავმჯდომარის, ირინა არხიზოვას ფავორიტი იყო. 1986 წელს მუსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე, თითქმის იმავე დღეს, როდესაც მარადონამ “ღვთის ხელის” დახმარებით ინგლისს გოლი გაუტანა, ერთ-ერთი უდიდესი ბრიტანელი პიანისტი, ბარი დუგლასი, ჩაიკოვსკის კონკურსის საფორტეპიანო ლიდერად აკურთხეს. და, შესაბამისად, ლაურეატობაც სწორედ მას მიაკუთვნეს. თუმცა, ეს ყოველივე ოთხი წლით დაგვიანებულ მონაწიეებს ჰგავდა...

როდესაც საბჭოეთი დაემხო, ხოლო ჩაიკოვსკის საერთაშორისო კონკურსმა აშკარად შეიღალა ავტორიტეტი, მეტ-ნაკლები წარმატებით გამოდიოდნენ ქართველებიც. 1998 წელს, მაგალითად, გამარჯვებული ბარიტონი ბესიკ გაბიტყაშვილი გახდა. თუმცა, მის მიერ შესრულებულ რენატოს არიას ვერდის “პალ-მასკარადიდან”, ისევე 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი - საფრანგეთი-ბრაზილია მირჩენია და არა მარტო იმიტომ, რომ 1978 წლიდან მოყოლებული საფრანგეთის გულშემმატკივარი ვარ... მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა, ჩაიკოვსკის წლებთან დელი კონკურსი კი ისევე უღიმღამოდ გამოდგა, როგორი მარაზმითაც წლებიდანლი “გზოტიკური”, ვერა-ზილუი მსოფლიო ჩემპიონატი გამოირჩეოდა. როდესაც კორეა ნახევარფინალში გავიდა, ჩემმა ნაცნობმა რეჟისორმა, რომელთანაც ჩაიკოვსკის კონკურსის გახსნას ვუყურე, ნერვებმოშლილმა მითხრა: ვადართე რა, “შჩელკუნჩიკზე”, ხომ ხედავ, კორეა ნახევარფინალშია!



ვერა ნახარაძე

“საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მასურებული ვარსკვლავად აღმოქვამს” – ტანია მარია.

ფილარმონიამ გამარჯვებული ბრაზილიელების ზეიმს გაუძლო. ვერც კი წარმომედგინა, ბრაზილიის ნაგების შემთხვევაში, სხვანაირი როგორ შეიძლებოდა გამოსულიყო წუხანდელი კონცერტი. მაგრამ, მუსიკის მოყვარულთა გულის გასახარად, ყველაფერი ფანტასტიკური გამოვიდა. თბილისის მეექვსე ჯაზეფტიკალი შესანიშნავად დაიწყო. ბრაზილიელმა მუსიკოსებმა საფეხბურთო გამარჯვება თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში მშობლიური დროშების ფრიალით აღნიშნეს.

თბილისი ტყუილად არ ელოდა ტანია მარიას მეორედ სტუმრობას. ბრაზილიური ჯაზის ენერგიულმა, 54 წელს მიტანებულმა დედოფალმა ქართველმა ლეონიანებს დაუვიწყარი კონცერტი გაუმართა. თუკი ტანია მარიას პირველ კონცერტს თბილისის შვიდი წლის წინათ განსაკუთრებული მნიშვნელობა უფრო მეტად ჩვენთვის ჰქონდა (ბრაზილიელი ჩვენსკვლავი იყო პირველი, ვინც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საქართველოს საზღვრები გადმოლახა), ბოლო სტუმრობა თავად მუსიკოსსაც, მის მეგობრებთან, “ვივა ბრაზილ კვარტეტთან” ერთად დიდხანს დაამახსოვრდებოთ. “სიმართლე რომ გითხრათ, ჯერ არც მაქვს კონცერტულად საკონცერტო პროგრამა ჩამოყალიბებული; არ ვარ მუსიკის ფუნქციონერი; მუსიკა ჩემთვის საშუალებაა, ვაჩვენო ხალხს, რომ თავისუფალი ქალი ვარ”, – ტანია მარია ამ სიტყვებით ბრაზილიის გამარჯვებამდე ორიოდე საათის წინ თქვა. მართლაც, რა ექჩაერბოდა ვარსკვლავს, ჯერ კიდევ წინ იყო განწყობა, რის მიხედვითაც საზეიმო რეპერტუარი უნდა შეერჩია. სწორედ ამიტომაც, ტანია მარიას მსმენელი განსაკუთრებული მონდომებით ადევნებდა თვალს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს. ჩვეულმა სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციამ ყოველგვარ

ევეროპელობას აჯობა – შედეგად, სავსე ფილარმონია მუსიკოსებთან ერთად ბრაზილიას გამარჯვებისას უმღეროდა.

გუშინდელი დღე ფერადი ასოებით აღინიშნება “მწვანე ოთახის” მუსიკალურ (და არა მარტო) ბოგრაფიაშიც. ჯგუფის ლიდერს, აჩიკო გულედანს (რომელსაც განსაკუთრებული გრძნობები აკავშირებს ფეხბურთთან, კერძოდ, ბრაზილიის ნაკრებთან) ორმაგად გაუმართლა: “მწვანე ოთახის” ალბომი ფეხბურთიანი გამოსვლა, ერთი მხრივ ბრაზილიის გამარჯვებას დაემთხვა, მეორე მხრივ კი მათ სათავეანებელ ბრაზილიელ შემსრულებელთან მოწინაით “გახურება”. ყველასთვის დიდი პასუხისმგებელი იქნებოდა ტანია მარიას კონცერტზე ამ სტატუსით გამოსვლა, მითუმეტეს, აფრო-ბრაზილიური მუსიკის ისეთი თავყვანისმცემლებისთვის, როგორიც “მწვანე ოთახი”. ჯგუფის ვალდებულება არც ისე იოლი აღმოჩნდა - როგორ გინდა მსმენელი შეაზაზადო იმ მოზღვაებული ენერგიისთვის, რაც ტანია მარიასა და მის “ვივა ბრაზილ კვარტეტს” მოაქვს.

“მე ავირჩიე მუსიკა და მუსიკამ მე ამირჩია, რათა იგი გამეგრცმეზინა”, – ბრაზილიელმა ვარსკვლავმა (იცის საკუთარი თავის ფასი. მართლაც, არც ისე ბევრია ადამიანი, რომელიც ასეთ “პრომოუშენს” უკეთეს ბრაზილიურ მუსიკას, როგორც ეს ტანია მარიას გამოსვლა. თანამედროვე ჯაზური სცენის დედოფალი სცენაზე მართლაც განუმეორებელია. მისი მანერები ჩაცმულობასთან ერთად მომღერალს ცეცხლოვან ფრინველს ასცავსებს. “სცენაზე ვგრძნობ, რომ შემოიღია ფრენა, ვარ ძალიან ლამაზი, მაქვს ულამაზესი თითები”, – მაგრამ საოცარი ისაა, რომ ყველაფრის მოუხედავად, იგი წამითაც არ კარგავს რეალობის განცდას და არ ავინყდება უზღოვია.

“ყველანაირი ბრაზილიური რიტმის გაულშემმატკივარი ვარ; ჩემი მუსიკალური ინტენსივობა გამოიხატება რამდენიმე მიმართულების: სამბას, ბოსა-ნოვას, ჯაზისა და აფრიკული რიტმების ერთობლიობაში”



ბაპო ბალაშვილი, ფოტოგრაფი

– მართლაც ძნელია, ერთი რომელიმე მიმართულების ჩარჩოში მოაქციო მისი, რასაც ბრაზილიელი მუსიკოსები გეთვებოზენ. მაგრამ ერთი უდაოა, მათ მუსიკაში განსაკუთრებული პულსაციას და ეს ურთიერთობა, რაც ჩვენს შორის მყარდება, ნამდვილად ჯადოქრობაა”.

ეს ჯადოქრული ურთიერთობები ტანია მარიამ კიდევ ერთხელ გუშინ გაბათ თბილისს მამგენელთან. Bom, Bom, Bom, Chi, Chi, Chi; “მაშქენადა” – ძირითადად, პიტები იყო წუხანდელი კონცერტის წამგენი თემები. დანარჩენის მოყოლა, კი პირადად მე, შეუძლებელი მეჩვენება. განსაკუთრების მახეში ებმებოდნენ: შეუძლებელია მათ რიტმებს ხელიდან გაუსხლტე, მითუმეტეს, როდესაც დაგვრასთან ერთად ისინი მსმენელთან თამაშის ოსტატებიც არიან. თბილი-ვალს მეექვსე საერთაშორისო ფესტივალი ფანტასტიკურად დაიწყო, თუმცა კი ნამდვილი ჯაზი ჩვენ მხოლოდ ხვალ გველის, “ისტორი პრომოუშენის” სერიივი ვარსკვლავი ბობ მინცერი. ასე რომ, ერთმანეთს ისევ დიდ საკონცერტო დარბაზში, ორ ივლისს შევხვდებით.

ძმებ ტაშიანებს ტოლსტოის სიყვარული დაუფასეს

დასრულდა მოსკოვის კინოფესტივალი

გუშინ საღამოს მოსკოვის კინოფესტივალის საბოლოო შედეგები გახდა ცნობილი. კინოფორუმზე საკონკურსოდ წარმოდგენილი 15 ფილმიდან, რომელთა ჩვენებაც 29 ივნისს დასრულდა ქმიმტფ ზანუისისა და ბობ რაფელსონის ფილმებით, ჯიურის (ჩინგიზ აიტმატოვის თავმჯდომარეობით) მხოლოდ რამდენიმე გამარჯვებული უნდა აერჩია.

პირველად მოსკოვის კინოფესტივალის მსტორიაში საკონკურსო პროგრამის მონაწილემ საქართველოს სტილისტიკური გადანეყვისათვის მიიღო ჯილდო. ეს არის ხელა იოფის ფილმი “ყველაფერი ყირაზაა” (დანია). პრიზის დაფუძნებლები არიან საერთაშორისო Vogue და მოსკოვის საერთაშორისო კინო-

ფესტივალის მესვეურები. გრან პრი და ჯილდო “ოქროს წმინდა გიორგი” საუკეთესო ფილმისთვის გადაეცათ პაოლო და ვიქტორი ტავიანებს (“აღდგომა”, ლევ ტოლსტოის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით). “ვერცხლის წმინდა გიორგი” მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის გადაეცა ვილემ პაანსალის (ფინეთი), რომელმაც რუსულ ფილმში, “გუგული”, თიამამა მთავარი როლი. ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის კი იაპონელმა მკიკო იტიკავამ მიიღო პრიზი (ფილმში “სილაფერატი”). საუკეთესო რეჟისორად ალექსანდერ როგოჟკინი აღიარეს. ჟიურის სპეციალური პრიზი კი ორასულმა სურათმა “მინის ყიფილა” მოიპოვა (რეჟისორი ვაჰიდ მუსაიანი).

თანამედროვე ხელოვნების გაღერაა ახალ მადრიასოვსკაიუს იყაროხს

XX საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების ელექტრონული კატალოგი

მადრიასოვსკაიუს

ქართულ ხელოვნებაში თანდათანობით იჭრება ახალი მენია ტექნოლოგიები. გუშინწინ თანამედროვე ხელოვნების ელექტრონული ელექტრონული კატალოგის პრეზენტაცია შემოგვთავაზა. კატალოგი, რომელიც 2000-მდე ხელოვნების ნიმუშს მოიცავს, მსოფლიო ხალხთა კულტურის ატლასის ნაწილი გახდება.

კატალოგი რომ საორთაშორისო ასპარეზისთვის ემზადება, ამას მისი ინგლისურენოვანი გამოცემაც მოწმობს. ქართული გამოცემა ჯერ-ჯერობით მხოლოდ პროექტის სახით არსებობს და შესაბამის ფინანსურ მხარდაჭერას ელოდება. არსებული ინგლისური ვერსია კი ნაწილობრივ სოროსის ფონდის, ძირითადად კი - გალერიის მუშაპთა ერთობლივად დაგეგმვაზე შეიქმნა. სასწრების სიმცირის გამო პროექტი, აგრე უკრთმა “მინის ყიფილა” მოიპოვა ავტორები ამტკიცებენ, – ჯერ კიდევ

ბეგრი რამ დარჩა გასაკეთებელი.

ელექტრონულ კატალოგში XX საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების თითქმის ყველა ძირითადი მოღვაწეა წარმოდგენილი. შესულია როგორც ფერწერა და გრაფიკა, ისე თეატრის მხატვრობა, ქანდაკება და მონუმენტური მხატვრობა. ნუ დაფრთხებიან ისინი, ვინც მხატვრობას ტრადიციული – გალერეებში სიარულის გზით გაცნობასაა მიჩვეული. კატალოგი, რომელიც CD-ის სახით გამოვა, ტექნიკურად ძალიან მარტივი გამოსაყენებელია: მასალის მოძიება შეიძლება ავტორის სახელის, დარგის, ფანის, ქრონოლოგიისა და ასევე საშემსრულებლო ტექნიკის მიხედვით. ქართველი მხატვრების დამახურებაა, რომ კატალოგი ვიზუალურად მეტად კარგად გამოიყურება. პროექტზე მომუშავე პერსონალმა კი საკმაოდ მაღალი ტექნიკური ხარისხი და ყველა კატეგორიის დამთავალიერებისთვის მისაწვდომი ფორმა შემოგვთავაზა. CD უზრალი ხელოვნების მოყვარულ-

საც დაინტერესებს და პროფესიონალებსა და სტუდენტებსაც ძლიერ გამოადგებათ, მით უმეტეს, რომ მასში შეტანილი ხელოვნების ნიმუშების დიდი ნაწილი საქმიად ძვირი სანახავია ქართულ საგალერეო სივრცეში.

კატალოგის პირველი პრეზენტაცია პონტკონგზე შედგა, ბერკის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე, რომელიც მსოფლიო ხალხთა კულტურის ატლასის შესაქმნელ მასალას განიხილავდა. ეს გლობალური პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ფინანსდება და ფიდეისი web-კატალოგის შექმნას ითვალისწინებს. ქართული სახვითი ხელოვნების ინტერნეტი პოპულარიზაციის იდეა უცებ აიტაცეს თანამედროვე ხელოვნების გალერიის მესვეურებმა და თავდაც გვემავენ სპეციალური ინტერნეტ-საიტის მომზადებას.

ქართულ პრეზენტაციას რაც შეეხება – იგი ძრითადად პროფესიონალთა ვნრო წრეში მოეწყო და უმეტესად

გალერიის წარმომადგენელსა და კულტურის მინისტრ სესილი გოგიბერიძეს შორის დიალოგის ფორმით წარმართა. როგორც ეტიკეტი ითვალისწინებს - მინისტრმა, პროექტს მხარდაჭერა აღუთქვა და კატალოგის გავრცელებასთან დაკავშირებული რამდენიმე ინოვაციური იდეაც შემოიტანა. აქვე, კვლავ დადგა დღის წესრიგში შარძან სკანდალურად ჩაშლილი ქართული ხელოვნების საგანძურის გამოფენა აშშ-ში. თაქის დროზე, ეს გამოფენა ექსპონატების დაცვის შესაბამისი მექანიზმის არარსებობის გამო ჩაიშალა. ახალი კატალოგი კი კულტურის მინისტრის დაცვის თავისებურ ფორმად და დიდი გამოფენის მოწყობის წინაპირობად დასახა.

რამდენად ეფექტური გამოდგება ამგვარი დაცვა და პოპულარიზაცია, ამას მომავალი გვიჩვენებს – კატალოგის დაბეგნა და ბერკის გლობალურ პროექტთან თანამშრომლობა კი აქტიურად გრძელდება. არსებული სახით მისი შექმნა 25 წლის ფარგლებში ჯდება.

მომავალი ჩვენია!

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მუბათობით. ტელ.: 2024 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



ნოდარ ლადარი

ცხოვრება წინ მიდის და ჩვენი პრესის ახალი მონაგარიც ერთი თვის გახდა. ცრუმორწმუნე ადამიანები ამ თარიღის გახსენებას არ გვირჩევენ, მაგრამ ჩვენ არაფერი გვაშინებს, მით უმეტეს, რომ სულაც არ ვაპირებთ ზეიშს. ეს თარიღი, როგორც ნებისმიერი სხვა, ჩვენთვის უკან მოხედვისა და შეჯამების საბაზია მხოლოდ. ერთი თვის განმავლობაში ბე-ბლოკის ცხოვრებაში მრავალი ცვლილება მოხდა, ხან ნარსული გვახსენებს თავს მომცრო რომანის თუ კოპოლას ოთხსერიანი სცენარის ტოლი საგაზეთო ნარკვევებით და კარში შეყოვნებული ახირებული სტუმარივით ვერა და ვერ ამთავრებდა გამოცემის ნარკვევებით სათქმელს. ხან მომავალი გვიკაკუნებს კარზე დეპემისოდენა ტრაგიკომედიებით და მზრები თითქოსდა თავისთავად გვეჩვენება. ამ პარასკევს კიდევ მთელი კვირის სატელევიზიო პროგრამა გაგვეჩიზრა შუა კულტურაში. ნეტა სულ ასე იქნება პარასკეობით, თუ მხოლოდ ამჯერად დაგვაკლდა მასალა? ერთი სუსტი ეჭვიც გვიღრღნის გულს: იქნებ ძირითადი მიმართულება, საერთო სტილი, დონე, მასშტაბი, არ ვიცო კიდევ როგორ ვთქვა — ჯერაც არაა გარკვეული, განსაზღვრული, გააზრებული. სტილის ზოგად გარკვეულობას ვინ ჩივის, ხანდახან რუბრიკა “სტილიც” კი ურევს ჟანრული მთლიანობის თვალსაზრისით: მაგალითად, 24 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული სტატია “12 მაგია და ბევრი ვარსკვლავი” უფრო “სეცტური” ქრონიკის უნდა მიეკუთვნოთ და არა ცხოვრების სტილს. მართალია, განსხვავება საკმაოდ პირობითია, მაგრამ ტექსტის საერთო ტონი ისეთია, რომ, იტალიის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, მასზე ნამდვილად უარს იტყვდა “ესპრესო”, მაგრამ სიახრულით აიტაცებდა “ჯენზე”, გერმანიაში უარყოფდა “შპიგელი”, მაგრამ დაბეჭდავდა “ზილდი”. მგონი, საქმეში ჩახედული ადამიანისთვის საკმარისად ნათლად გამოთქვითი საქმეული. მით უმეტეს, რომ “24 საათის” თავდაპირველი მიმართება, როგორც მე ამისხნეს, მაღალი სტანდარტები იყო.

ერთი სიტყვით, პირველი თვის განმავლობაში მოულოდნელობები საკმაოდ იყო, ოღონდ მათი უმრავლესობა მსოფლიო ჩემპიონატის განრიგში არსებულ პაუზებთან იყო დაკავშირებული. ერთი არსებითი გარემოება კი ნამდვილად შეიმჩნევა: ბოლო დროს საგრძნობლად იკლო პერსონალური სვეტების რიცხვემა. გაზეთი უკვე ისე აღარ გვახარებს ორიგინალური მასალებით, როგორც პირველ დღეებში. თუმცა არა, ამას რას ვამბობ? 28 ივნისის ნომერში გოგი გვახარიათ გავვახარა (მომიტევის მკითხველმა ეს უნებლადი ზმა) თავისი სტებით, რომელსაც, უნდა ვთქვა, უკეთესი გაფორმება ეკადრებოდა: თუ ავტორის ფოტო არა, რაიმე თვალშისაცემი ნიშანი მაინც უნდა ხლებოდა თან, თორემ მარცხენა ზედა კუთხეში ლაზის დაიკარგა სხვა ორდინარული მასალათა შორის.

ჰო, მართლაც, ნო შეგერმნდება, მკითხველო, — ცნობარ “ვინ ვინაა საქართველოში” გაცილებით უფრო

იაფადაც იშოვება: 22 ლარი მისი მხოლოდ მაგარყდიანი ვარიანტი ლირს, სამუშაოდ უფრო მოსახერხებელი რბილყდიანი წიგნის შეძენა კი 12 ლარადაც შეიძლებოდა, ასე რომ გოგის 10 ლარის დაზოგვა შეეძლო და ორი-სამი სხვა არანაკლებ სასარგებლო წიგნი კიდევ მოუვიდოდა.

დიახ, გოგი გვახარიათ მიაღწია მონოდების სიმაღლეს, მაღი სერგებრიაკოვამ კი თავის მონოდებას მიიყენო: პლასიდო დომინგოს ჯანმრთელობის მდგომარეობა და არტურო ტოსკანინის მორალური სახე ზედგამოჭრილი აღმოჩნდა ამ ავტორის მინაგან მიდრეკილებათა საუკეთესოდ ნარმოჩინებისათვის. იმას კი, რამდენად ზედგამოჭრილია მსგავსი თემატიკა შენთვის, ჩვენი მკითხველო, და, შესაბამისად, გაზეთისათვის, — ცხოვრება გვიჩვენებს. მე მაინც მგონია, რომ საიდუმლოებას ფარდა უნდა აესხადოს, და არა

ჩვეწო პროგრამა. გადმოცემის სიღინჯე და საფუძვლიანობა ისეთია, კაცი იფიქრებს, აჰა, გვეშველაო. ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებიც შევებით ამოისუნთქებენ და საფეხბურთო მონაცემებით უხვად დაჯილდოებული ბავშვების მშობლებიც. გამარჯვებისაკენ შემართული, სახეზე ალალი და დაინტერესებული გამომეტყველების სათანადო დოზით აღჭურვილი ახალგაზრდა ფუნქციონერის ფოტოც დამამშვიდებლად მოქმედებს: ჰალსტუხის დემოკრატიულად ჩამოშვებული კვანძიც თითქოსდა გვაუნყევს, რომ კომკავშირის ცკ-ს უეცრად მონაბერი სურნელი მხოლოდ გვეჩვენება. ამრიგად, ხილული პლანის საქმე ნესრიგშია. არაფერი უჭირს უხილავ პლანსაც: გამოქვეყნებული მასალა გვამცნობს, რომ კანდიდატს მხარს უჭერს ბადრი პატრაკაციშვილი, ხოლო პროგრამის

ფეხბურთო პატრიოტის ოცნებას მოუცავს და ბავშვის საზღვარგარეთ დიდი ხნით ან სულაც სამუდამოდ გახიზვნა სურთ? თვით ბავშვებს კი რა სურთ? მართლაც საინტერესო კითხვაა და სანამ მომავალ ფეხბურთელთა მშობლები ფიქრობენ, ქართულ ცეკვაზე ხომ არ გადავიყვანო ბავშვო, ანა კორძიაა გმირულად შეეჭიდა სოციალურ-კულტურული კონტექსტის გარკვევის ამოცანას.

Love Story უსიკვდილოდ ანუ თბილისისაც არ სჭერა ცრემლები

25 ივნისის ნომერში ვპოულობთ ანა კორძიას თინეიჯერებისადმი (უკვე დროა ბრწყალების გარემუვნერთი ეს და მისგან წარმოებული სხვა სიტყვები) მიძღვნილ სტატიას:

მომავალ ორშაბათიად!



საბანი. გარდა ამისა, არ შემიძლია არ ვთქვა, რომ სამი ტენორის პირველი კონცერტი “კარაკალაში” კი არა, რომში გაიმართა თეატრად გადაკეთებულ კარაკალას თერმებში. თუნდაც კროსგორდების ხსნით განათლებული მკითხველისათვის, რა თქმა უნდა, ცნობილია, რომ კარაკალა ანტიკური რომის ერთ-ერთი იმპერატორის სახელია და არა ტომონიმი.

აი დათო ბუბრიკიძეს კი ოდნავ აწყინა შექება. სტატია “შეხედ, რა ლამაზია კრიზისი” (24 ივნისი) ძალიან “ფხვიერი” გამოუვიდა. ვარსკვლავებთან ამ უგერგოლი ომის “ეპიზოდი პირველი” ფორმის თვალსაზრისით აშკარა ჩავარდნად აღიქმება ავტორის სხვა ნაწარმოებთა ფონზე — საუკეთესო ხომ კარგის მტერია. მთავარ სათქმელს, რომელსაც ინტუიციურად ყოველი გემოვნებიანი ადამიანი დაეთანხმებოდა, ავტორი თითქოსდა თითის წვერებით ეხება, მაგრამ მოხელთებას ვერ ახერხებს. შემდგომი ეპიზოდები შედარებით უკეთ გამოვიდა.

წელან ისიც ვთქვი, სიურპრიზები მსოფლიო ჩემპიონატზე მატჩების გამეორებასთან იყო-მეთქი დაკავშირებული. მაგრამ მარტო ეს როდია მთავარი: სპორტულ გვერდებს აშკარად დაეტყო “გაეროებულიება” და მუდღიალის ზათქსა და ზრიალში თითქოსდა შეუმჩნევლად შემოგვპარეს “საფეხბურთო პატრიოტების” მტკიცეწეულად ნაცნობი კრიმანჭული.

საფეხბურთო გრამატიკა

ჩვენს ყოფით მტკცველებში მოვლენათა უხილავი პლანის გამო-სახატავად ორი ზმნიზედა გამოიყენება: “უკან” და “ქვეშ”. ამასთან, უხილავ პლანში შემაჯალი ვინ-ჯგუფები არსებითი სახელები და ამ არსებითი სახელითა ჯგუფების აღმნიშვნელი საკუთარი და საზოგადო სახელები, ჩვეულებრივ, “უკან” განლაგდებიან ხილვე: ბინ ლადენი, აშშ ადმინისტრაცია, კანცელარია, პრეზიდენტის აპარატი და ა. შ. “ქვეშ” განლაგდა რა-ჯგუფში შემაჯალი კონკრეტულ და აბსტრაქტულ არსებობს სახელებს უყვარს: ფული, ძალაუფლება და მისთანა. ხანდახან ორივე ზმნიზედას ერთი, თუმცა კი ნაკლებად კონკრეტული ცვლის: “იქით”. მაგალითად, ბინ ლადენი და მასთან ერთად დიდი ფული შეიძლება რაღაცის “იქით” იდგეს. ცხადია, საკითხის ამგვარ გადმოცემას ერთგვარი სქემატურობა ეტყობა და საერთოდაც არასრულია, მაგრამ ჩვენი მიზნებისთვის სრულიად საკმარისია. ძირითადი მიზანი ხომ ყველამ ისედაც ვიცით: ყოველი მოვლენის ანალიზისას უნდა დაქმავიფოიდეს მკითხველის უკვე დიდი ხნის წინათ გამომუშავებული წყურვილი, მიიღოს პასუხი ორ კითხვაზე: ვინ დგას ამის უკან? და რა დევს ამის ქვეშ?

ნაკვითოხთო 24 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული ხელმოწერული სტატია: “დავით ბენიონაშვილი: ფედერაციის სტრუქტურა არადემოკრატიულია”. დავით პეტრიანაშვილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ) პრეზიდენტობის კანდიდატია. სტატიაში დაწვრილებითაა გადმოცემული მისი წინასაარ-

წარდგენას ესწრებოდა ვანი (ჩხარტიშვილი). როგორც ვხედავთ, გასაგებია, ვინაა “უკან” და რა დევს “ქვეშ”. ეს გვამჟღავნებს, გვეჩვენება, რომ შეგვიძლია არხიანად ვიყოთ. ბოლო წინადადებაშიც კი ვერ ვგრძნობთ მომავალი ქარიშხლის ნიშნებს: “დღეს კი აღმასკომის სხდომაა — იწყება ბრძოლა პრეზიდენტობისათვის”.

ქარიშხალმა არ დააყოვნა: შემდეგ ნომერში ვპოულობთ ასევე ხელმოწერულ სტატიას “ნითელი ბარათი ჭყინიას და გამყრილიძეს”. სათაურიდანვე ჩანს, რომ ეს მეორე სტატია პირველის ანტიპოდია: ერთი ვგრძნობთ, მოვლენის ხილულმა და უხილავმა პლანებმა ადვილბით გაცვალეს და უკან მდგომებმა წინ გადმოიწაცლეს. მაგრამ საქმის ვითარებას ეს ყოველივე სულაც არ “აიასნებს”. მკითხველს არ ესმის, აღუთოვანდეს სფფ პრეზიდენტის, მერაბ ჟორდანიას გაბედულებით (ხუმრობა საქმეა, გამყრილიძე-გაჩეჩილაძე-ხაზარაძის კარიცხვა?), თუ გესლიანად აღნიშნოს, რომ გაბედულება მხოლოდ ადგილის დაკარგვის საშმპრობით გამოწვეული სასონარკვეთილების ნიშანია. მკითხველს ხან ოურიდული საკითხების ტყე-ლრეთ უწევს გზის გაკვლევა; ხანაც თემურ ჭყაინის მიხედვითი ქართულის ქარაგმებში (ამ უკანასკნელს უთქვამს: “რაც შეეხება მონევეებს და ჩემს გამოუცხადებლობას, ეს აბსურდია”. ნეტა რა არის აბსურდი, — მონევეები არ მოსდიოდა, თუ მოსდიოდა და ცხადდებოდა კიდევ(?). ბოლოს აბაზოურ პაიუსსაც სთავაზობენ ქართულ ენაზე მისი მთარგმნელის მოხსენიებით და მერბ ჟორდანიას შემდეგი კომენტარების გასაგებად უკვე ძალები აღარ ყოფნის.

რას გადავევიდეთ ამ სტატიას, იქნებ არც ყოფილა მისი მიზანი სფფ-ში მომხდარი აურზაურის ანალიზი მაგრამ ეს ანალიზი მას მთელი კვირის განმავლობაში არ მოჰყოლია. ჩვენ დღემდე არ ვიცით, ვინ დგას უკან და რა დევს ქვეშ. მდგომარეობას ვერც მისიელ აბაიშვილის პატარა წერილი განმატრავს (“მერბა ჟორდანია: შევიცარიაში UEFA სა-ქართველოზე იმსჯელებს”), თუმცა კი წერილს, თავისთავად, არაფერი დაეწუნება. უბრალოდ, საერთაშორისო ინსტანციების მიმართ მერბა ჟორდანიაა აპელირება საერთო სიმპათიების სასწორს მისკენ ხრის. უკვე შეინიშნება ტენდენცია, რომლის თანახმადაც რიგითი ქართველი ორიე-ლიმე ლენარდს ან იოზეფს ჰორეენდობა, ვიდრე რომელიმე ბადრის, ან თუნდაც ვანოს. კიდევ ერთხელ უნდა გამოვხატო დაინტერესებული საზოგადოების სრულიად ლოგიკური სურვილი: სულ მალე, ჯერ კიდევ, ყრილობამდე უნდა მოეფინოს ნათელი ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებს, იქ მომძლავრებულ წყალქვეშა დინებებსა და კლდეებს. იმედია, ამ კვირიდან საორტოლ-ჟურნალისტებსა და ანალიტიკოსებს ამისათვის დრო გაუწედებათ, გაზეთის ფურცლებზე კი ადგილი განთავისუფლდება.

მანამდე კი არ ვიცით, რა ვუპასუხოთ ათასობით ქართველი გულშემატკივრის დაბნეულობას თუ იმედგაშეობას? ან იმ მშობლების გულწინადობას, რომლებიც მრავალი ქართველი საფეხბურთი თუ არასა-

“ძალიან მიყვარს სიყვარული — რაზე ოცნებობენ სულ ახალგაზრდა ქართველები”. დასაწყისი მართლაც მშვენიერი იყო. განა ხშირად გაიხსენებს ჩვენში ვინმე, რომ საზოგადოება, თვით ქართული საზოგადოებაც კი, სულაც არაა ჰომოჯენური მასა, რომ მასში ბუნებრივად თანარსებობენ არა მარტო განსხვავებული, არამედ ხშირად ერთმანეთს დაბორისპირებული ელემენტები.

სამწუხაროდ, თინეიჯერული პრობლემები (დაუჯერებელია, რომ ასეთები არ არსებობენ) სტატიის ბოლოსკენ პრჭყვილა სათამაშოებად გადაიქცევა და გაბედულად დანეჭვული ტექსტი ბოლოსდაბოლოს ამაოდ ცდილობს გრძნობათა მოწოლით ობოლი ცრემლი გამოგვწეროს. საერთო შთაბეჭდილება იმდენად დავარცხნილი და საშავალითო-საჩვენებელია, რომ გიკვირს, რატომაა გამოსასული თანხმდები ფოტოებზე ორივე თინეიჯერი ბიჭი ხელში სიგარეტით. სამაგიეროდ, სულაც არ გიკვირს, რომ მათ მეგობარ გოგონას ამგვარი გამოსახვა ასცდა, ხოლო მეორეს, რომელიც თავის ბოიფრენდს ჩახუტებია, კდმება მოსილების შესანარჩულებლად და ტაქტის დასაცავად მხოლოდ თვალები გამოუჩინეს. ყველაფერი, როგორც ვხედავთ, ჩვენს საზოგადოებაში საიმედოდ ჩამოყალიბებული სტერეოტიპების ფარგლებში ტეგვა და, საბოლოოდ, არაფერს ტოვებს ველსიერებაში. აქ, რა თქმა უნდა, არ გვხვობსხმოდ ფოტოებზე გამოსახული ახალგაზრდების ნათესავებს, რომელთათვის ეს ნომერი ნამდვილი საჩუქარია.

გულისამარწყვებელია სტატიის პერსონაჟ ყმანდელია ცაცინობის ისტორია: სულ მთლად ჩაფუთნული გოგონა ზის ზამირის “შარშრუტკაში”. ორი იქვე მსხდომი ბიჭუნა მისი პიროვნების გარჩევას იწყებს, ოღონდ ფრანგულად. ეს “ნამარშრუტკალის მოგონებანი” დასრულის დემოგობრებით დასრულდა. ვეჭვობ, ფრანგულმა აქ ეგრეთ ნოდებული სიღატდის ენის როლი შესასრულა — ზოგიერთი ტომის სოციალურ ცხოვრებაში არსებობს განსაკუთრებული ენა, რომელშიც არ მოიპოვება საგონებელი და სხვა რამ “უხერხული” სიტყვები, და რომელზედაც ესაუბრობიან მუდლის ნათესავებს.

იდილია უმაღლეს მწვერვალს მამინ აღწევს, როცა ახალგაზრდები მშობლიურ ენაზე ცდილობენ გაერთიქენ თავიანთი შესხედლება სიყვარულზე: “კარგი, გადასაღვი, საამაყო გრძნობა”. O mon Dieu! ღმერთმანე, ქართული ენისა და ლიტერატორის ყველა მასწავლებელი — უკლებლივ ყველა — შესაცვლილა! იმედია, მკითხველი, შენ მაინც არ დაკარგავ იმ ზომის შეგარძნებას, რომლითაც შეიძლება ამ ჩემი ძახილის სერიოზულად მიღება. კარგი, გადასარევი, საამაყო — ბანალობა, დაბალი სინჯის სწობიში, სადღევრძელოებზე გამორბილი ღირებულებათა სისებება. განსაკუთრებით “საამაყოშ” შემზარა. სინამდვილის ჩვენწული აღქმა რაღაც პირზეფუ-მორეული დაჟინებით მოითხოვს, სულ მუდამ ვიამაყით რაღაცით: ხან იჯახითა და ქართველობით, ხან გე-ლდითა და ვეფხისტყაოსნით, ხან ასომთავრული ანბანითა და დმანის-ტი ნაპოვნი თავისიკლებით. ახლა კიდევ სიყვარული!

იმედი მაქვს, ამ ბალღებმა უკვე იციან ტუჩებში კოცნა. ნეტა, როგორ ახდნენ ამ ემოციების ვერბალიზაციას? რა სიტყვებით ესაუბრებიან ერთმანეთს, როცა მათი სიყვარულთან დამოკიდებულება რეალიზაციის პირველ საფეხურებზე იწყებს ასვლას?

და ეს ყველაფერი ფრანგულის, რუსულის, გერმანულისა და ცოტა ინგლისურის ცოდნის ფონზე! ხშირია, ძალიან ხშირია ჩვენს სინამდვილეში მდგომარეობა, როცა ცოდნის მოზღვაება განათლებას კი არა, ამპარტავნებას ამრავლებს. აქედან გამომდინარე კი სულაც არაა გასაკვირი დღევანდელი ქარველი თინეიჯერების ოცნებები: “სან-მარტინი უნდა დავაშთაირო”, “მინდა ვიყო ჩემი თავის ბატონ-პატრონი, დამოუკიდებელი, რომ არავისზე ვიყო ჩამოკიდებული”, “მექნება საკუთარი ორგანიზაცია და საუკეთესო კონცერტებს

საქვეყნოდ გავაპაზორა ქართველები.

ზურა: (არ იჩხირავს) აბა, ჩემი (დედა ახსენდება) — ერთი მაგის თავი მაცემინა და... პირდაპირ აეროპორტში არ დამტოვა!

ჯენიფერი: (თავზე ფეფრება ზურას) დუ ლუ ლაიქ ლეიმა ბუღაძე?

ზურა: (უხეშად) ნო, ახმატოვა...

აი ლაიქ ახმატოვა, ფოკინ ბირ.

გოი: (იჩხირავს) ზნაჩიტ, იმ დე-ბილს დელბონში ქართული მინა აქვს ნაღებული? ვუდრო ვილსონი ხო იცი, ბრატ, ვამბე მაგარი მასტი იყო, პრეზიდენტი, რამე. ერთი ინგლისელი ცივილიზოვანი სალდათის სიცოცხლე არ ღორსო მაგ დიკარების გადასარჩენადო, ჩვენზე თქვა, ხო აზზე ხარ, მაგათ ქართული მინა უნდა აჩვენო, მაგ ახერებს? (ისევ იჩხირავს).

ჯენიფერი: უთო იზ მარქეთ ება-უთ, საიმონ?

შემოდის იკა, ხელს პარკში აფათურებს და სახეზე უიქედობა ატყვია.

იკა: მინა, მინა... მინა და მეტი არაფერია... მამაჩემის ნაბიჭვარი დედაც (ახსენდება ბებია) ... ეს რა გამომამატანა. ჯენისაც კიდე ზურა ფიშავს...

შემორბის ქეთათოს მამა, რომელსაც კისერზე ექვსი წლის ქეთათა აზის. ქეთათოს შავი ტყავის კოსტუმი აცვია და ხელში მოლტი უჭირავს.

ქეთათო: ბატონო, ბატონო, დისკუსზე გატყობობ, უნდა იცოდეთ, ბავშვი ლოგოლ ჩნდება.

იკა: აუ, ეს ვინაა?! მინა... მინაა! (სამუდამოდ გადის).

ქეთათო: ლა უცნაული ინიფი-დუშმია! ალბათ, ათეთოსის კომპლექსი აქვს. ლა მოსაწყენია აქაულობა... ელთი ჩემი ავტოლი მანახა. ვეტყობი, ლომ კონფლიქტის გამოება მოუწლუნდა. მიუხედავად თავისი მიუტევებელი სწოლბაზოვნებისა, და იქნე სწოლედ ამ სწოლბაზოვნების გამო, დღამატუელი კოლბია ველც ფუნქციულად, ველც სტლუქმულულად ველ აღწევს დამაჯელებლობას. ისე კი ველაფელი გავეცი! (შოლტს შემოქრავს მამას).

მამა: როგორ ვერ გაიგე? კაცი ბუქნის ქალს, ქალი კაკანებს, კაკანებს... (სახეზე რვასაუკუნოვანი ნოსტალგია გამოეხატება, ამ დროს ისევ მოხედავს შოლტს) უჰ, ერთი ჩემი და ამ გომბობს დამწერი შემახედრა სადმე!

ჯენიფერი: ჰუ არ ჩემი?

გოი: ეგ ვინაა, ტო?

ზურა: ამ კლინტს ვიცნობ. ადრე ქათმებს დასდევდა გასაჟიბდა, ბავშვიც თავისნაირი დაქენული ჰყავს.

გოი: (მთელი მოქმედების განმავლობაში განუწყვეტლივ იჩხირავს): უ, ჩემი, ეს სად მომახედდრა, მე მაგის (ჩანს, რომ სამუდამოდ დაავიწყდა დედა)...

ზურა: რაც დრო გადის, სულ უფრო იცილებოდა რაღაცაზე.

გოი: (აკვირდება ჯენიფერს) მაიცა, მაიცა... კატებია ზაუვუტ, ბლიად!

ჯენიფერი: ო მამ გუდუნეს!

გოი: რაო, რა თქვა?

ზურა: ჩემი კარგო, მგონი (ახსენდება ნათესავები).

გოი: აბა დავაი შას, გავარი სკა-რე!

ჯენიფერი: (ამაყად) ბეკებ, ჯენიფერ სემუელონა ბეკებ.

გოი: ბოიშვილი ვიყო, ამის ბრალია ყველაფერი!!

გოი და ზურა ჯენიფერს მივარდებიან, წააქცევენ და სასტიკად ურტყემდ ფეხებით.

რა თქმა უნდა, ამ ჩემს ნამოქმედარს მოსკოვის აკადემიური თეატრის ფოიში თუ გარდერობში განხილვა არ ემუქრება, მაგრამ, ვფიქრობ, მკითხველს ახალგაზრდა ქართველი დრამატურგის შემოქმედებითი სირთულეების თავისებობა დეცხმარება. სერიოზულად მხოლოდ ერთს ვიტყვი: მხატვრული დრისებებისგან დამოუკიდებლად ვერ გავიგე ამ “პიესების” ბეჭდვის მოტივაცია. რა განსაკუთრებული პრივილეგიათა სარგებლობს ეს ტექსტები იმასთან შედარებით, რაც ლიტერატურულ დამატებაში გამოვა. თუ ეს ნამოწყება გაზეთისათვის ჩვეული იუმორის განყოფილების ფუნქციას ასრულებს, უნდა მოგახსენიო, რომ სიცილით არ მოეშკვდარვარ.

ახლა კი ორიოდ სიტყვით შევეცადოთ შექმნილი საერთო მდგომარეობის დახასიათებას. როგორ შევძიოდა დავახასიათოთ ჩვენი მდგომარეობა ქართულ მედიანი დიდი გარდატეხის შეტანლად ერთი თვის შემდეგ? უჭეჭვია, რომ მთელი ჩვენი საზოგადოება დამეთანხმება: სახეზეა თავბრუსხვევა წარმატებებისგან. მაგრამ ავ ნუ შეგვაშინებს, სანამ ერთად ვიქნებით, მტერი ვერაფერს დაგვაკლებს. ჩვენმა ხალხმა მტკიცედ იცის, რომ დემოკრატიის განვითარებასთან ერთად კლასობრივი ბრძოლა მწვავედბა. ასე რომ, წინ ბევრი რამ საინტერესო გველოდება. ჩვენ კი უკუვაგრეთ ცრურწმენები და გაზეთის პირველი იუბილეს უზსტად 685 ასონიშნით უფრო მოკლე სტატიით შევხედეთ. მომავალი ჩვენია!

